

ქართულ ენაზე თარგმანი განახორციელებულია კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორის - ნინო ხარიტონაშვილის მიერ.

Translation into Georgian language by Professor of Caucasian University – Nino Kharitonashvili

ALI / UNIDROIT PRINCIPLES OF TRANSNATIONAL CIVIL PROCEDURE

საერთაშორისო სამოქალაქო საპროცესო პრინციპები და წესები

მოქმედების სფერო და გამოყენება

საერთაშორისო სამოქალაქო სამართლის საპროცესო პრინციპები წარმოადგენს საერთაშორისო კომერციული დავების განხილვის სტანდარტებს. უმეტეს შემთხვევაში, ეს პრინციპები შეიძლება ასევე შესაბამისი იყოს სხვა სახის სამოქალაქო დავების განსახილველად და მომავალში საფუძვლად დაედოს სამოქალაქო სამართალწარმოების რეფორმის საკანონმდებლო ინიციატივებს.

კომენტარი:

ა) ეროვნულ სისტემას ამ პრინციპების გატარება შეუძლია ისეთი შესაბამისი სამართლებრივი საშუალებებით, როგორცაა დებულების, პროცედურის ან საერთაშორისო ხელშეკრულების შემუშავება. შესაძლებელია სასამართლოს საპროცესო კანონმა გარკვეული კატეგორიის საკითხებთან მიმართებაში გამორიცხოს აღნიშნული პრინციპების გამოყენება, მაგრამ სხვა სამოქალაქო საკითხებთან მიმართებაში დასაშვები გახადოს. კერძოდ, მოდავე მხარეების თანხმობის შემთხვევაში სასამართლოებმა შეიძლება თავიანთი საპროცესო პროცედურა ამ პრინციპებს დაუქვემდებაროს. ეს პრინციპები იმ სტანდარტებსაც ადგენს, რის მიხედვითაც უნდა მოხდეს უცხო ქვეყნის სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების აღიარება ან არაღიარება (იხ. პრინციპი 30). იმ საკითხებთან მიმართებაში, რომელსაც ეს პრინციპები არ ეხება, გამოიყენება სასამართლოს საპროცესო კანონი.

ბ) შესაბამის დოკუმენტში ტერმინები "კომერციული" და "საერთაშორისო" შეიძლება უფრო დაკონკრეტდეს. აუცილებელია, რომ მასში ზედმიწევნით იყოს ასახული ადგილობრივი სამართლებრივი ტრადიციები და სამართლებრივი ტერმინოლოგიის კონოტაცია. საერთაშორისო კომერციული ტრანზაქციები შეიძლება სხვადასხვა სახელმწიფოს მოქალაქეთა შორის დადებულ კომერციულ ხელშეკრულებებსა და

კონკრეტულ სახელმწიფოში სხვა სახელმწიფოს მოქალაქის მიერ განხორციელებულ კომერციულ ტრანზაქციებს გულისხმობდეს. კომერციული ტრანზაქციები შეიძლება მოიცავდეს ყიდვა-გაყიდვას, იჯარას, სესხებს, ინვესტიციებს, ქონების შექმნას, საბანკო ოპერაციებს, დაზღვევას, საკუთრებას (მათ შორის, ინტელექტუალურ საკუთრებას) და სხვა ფინანსურ და ბიზნეს ოპერაციებს, მაგრამ აუცილებელი არაა მოიცავდეს მომხმარებელთა უფლებების დამცავი ნორმებიდან გამომდინარე ტიპიურ სარჩელებს.

გ) ზოგადად, საერთაშორისო დავები მხოლოდ ერთი სახელმწიფოს ფარგლებში არ წარმოიქმნება და მოდავე მხარეებიც მხოლოდ ერთსა და იმავე სახელმწიფოს მოქალაქეები არ არიან. ამ პრინციპების მიხედვით, ფიზიკური პირი ორივე სახელმწიფოს მოქალაქედ მიიჩნევა - როგორც იმ სახელმწიფოსი, რომლის მოქალაქეც ის არის, ასევე იმ სახელმწიფოსი, სადაც მისი მუდმივი ადგილსამყოფელია. იურიდიული პირი (კორპორაცია, ასოციაცია, პარტნიორული ან სხვა ორგანიზაციული ერთეული) ორივე სახელმწიფოს კუთვნილებად განიხილება - როგორც იმ სახელმწიფოსი, რომლისგანაც მას რეგისტრაციის მოწმობა აქვს მიღებული და იმ სახელმწიფოსიც, რომელიც მისი ბიზნეს-საქმიანობის ძირითადი ადგილსამყოფელია.

დ) ისეთ სასამართლო საქმეებთან მიმართებაში, სადაც მრავალი მხარეა ჩართული ან მრავლობითი სარჩელია, რომელთა შორისაც ზოგიერთი ამ პრინციპების ფარგლებს სცდება, ეს პრინციპები მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოიყენება, თუ სასამართლო დაადგენს, რომ ძირითადი სადავო საკითხები ამ პრინციპების გამოყენების ფარგლებს არ სცდება. თუმცა, ჯგუფურ დავასთან მიმართებაში, როგორცაა კლასობრივი, წარმომადგენლობითი ან კოლექტიური ქმედებები, ეს პრინციპები მოდიფიცირების გარეშე არ გამოიყენება.

ე) პრინციპები თანაბარმნიშვნელოვნად გამოიყენება საერთაშორისო არბიტრაჟში, გარდა იმ პრინციპებისა, რომელიც შეუთავსებადია საარბიტრაჟო პროცესთან, მაგალითად, იურისდიქციასთან, სამართალწარმოების საჯაროობასა და გასაჩივრებასთან დაკავშირებული პრინციპები.

1. სასამართლოსა და მოსამართლეების დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და კვალიფიკაცია

1.1 სასამართლოსა და მოსამართლეებს უნდა ჰქონდეთ დამოუკიდებელი სასამართლო სისტემა იმისათვის, რომ დავა ფაქტებისა და სამართლის შესაბამისად გადაწყვიტონ, მათ შორის, ისინი თავისუფალნი უნდა იყვნენ არასათანადო შიდა და გარე გავლენებისგან.

1.2 მოსამართლეებს უნდა ჰქონდეთ თანამდებობაზე ყოფნის გონივრული ვადა. სასამართლოს არაიურისტი წევრები ისეთი პროცედურით უნდა დაინიშნონ, რომელიც მხარეებისგან, სადაო საკითხისგან და სასამართლოს გადაწყვეტილებით დაინტერესებული სხვა პირებისგან მათ დამოუკიდებლობას უზრუნველყოფს.

1.3 სასამართლო უნდა იყოს მიუკერძოებელი. მოსამართლე ან სხვა პირი, რომელსაც გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება აქვს, არ უნდა მონაწილეობდეს განხილვაში, თუ ასეთი პირის მიუკერძოებლობაში ეჭვის შეტანის გონივრული საფუძველი არსებობს. სასამართლოს მიკერძოების შესახებ არსებული დავებისათვის საჭიროა სამართლიანი და ეფექტური პროცედურა.

1.4 არც სასამართლომ და არც მოსამართლემ არ უნდა დაუშვას კომუნიკაცია დავის ერთ მხარესთან სხვა მხარეების დაუსწრებლად, გარდა იმ შემთხვევისა, რომელიც შეეხება შეტყობინების გარეშე (დაუსწრებელ) პროცედურას ან სტანდარტულ საპროცესო ადმინისტრირებას. თუ სასამართლოსა და მხარეს შორის მეორე მხარის დაუსწრებლად შედგა კომუნიკაცია, კომუნიკაციის შინაარსი დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს მეორე მხარეს.

1.5 სასამართლოს წევრებს უნდა გააჩნდეს საფუძვლიანი სამართლებრივი განათლება და გამოცდილება.

კომენტარი:

ა) დამოუკიდებლობა განიხილება როგორც ობიექტური, ხოლო მიუკერძოებლობა სუბიექტური მახასიათებელი, თუმცა ეს მახასიათებლები მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული.

ბ) გარე გავლენა შეიძლება მოდიოდეს აღმასრულებელი ან საკანონმდებლო ხელისუფლების წევრებისგან, პროკურორების ან ეკონომიკური ინტერესების მქონე პირებისგან და ა.შ. შიდა გავლენას შეიძლება სასამართლო სისტემის სხვა ოფიციალური პირები ახდენდნენ.

გ) ეს პრინციპი აღიარებს, რომ, როგორც წესი, მოსამართლეები ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე მსახურობენ, ზოგადად, მთელი კარიერის მანძილზე. თუმცა, ზოგიერთ სისტემაში მოსამართლეები მხოლოდ ადვოკატად მუშაობის შემდეგ იკავებენ მოსამართლის თანამდებობას, ზოგიერთი კი გამოსაცდელი ვადით ინიშნება. ამ პრინციპის მიზანია დროებითი სასამართლოების შექმნის თავიდან აცილება. სასამართლოს საპროცესო კანონის თანახმად, ტერმინი "მოსამართლე" გულისხმობს ნებისმიერი სასამართლოს ან კვაზი-სასამართლოს ოფიციალურ პირს.

დ) სასამართლოს მიკერძოებასთან დაკავშირებული საკითხების მარეგულირებელი პროცედურა მხოლოდ იშვიათ შემთხვევაშია საჭირო, მაგრამ პროცედურის არსებობა მომჩივანისთვის ერთგვარი ნუგეშია, განსაკუთრებით უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის. თუმცა, პროცედურა არ უნდა ითვალისწინებდეს მის ბოროტად გამოყენებას არაობიექტური პრეტენზიების საფუძველზე.

ე) პროცედურები, რომელიც შეტყობინებას არ ითვალისწინებს (ცალმხრივი სამართალწარმოება) შეიძლება მართებული იყოს, მაგალითად, უზრუნველყოფის პირველადი მოთხოვნის შემთხვევაში. იხილეთ პრინციპები 5.8 და 8. არგამოცხადების შემთხვევაში პროცედურები რეგულირდება 15-ე პრინციპით. სტანდარტული ადმინისტრაციული პროცედურა მოიცავს, მაგალითად, სავარაუდო მტკიცებულებების წარდგენის თარიღების დაზუსტებას.

ვ) 1.5-ე პუნქტის ერთადერთი მოთხოვნაა, რომ საერთაშორისო დავების მოსამართლეები კანონმდებლობას იცნობდნენ. ის არ მოითხოვს, რომ მოსამართლე

კონკრეტულად კომერციული და ფინანსური სამართლის მცოდნე იყოს, მაგრამ სასურველია ის ასეთ საკითხებში ერკვეოდეს.

2. მხარეთა დავების განსჯადობა

2.1 განსჯადობა შეიძლება მხარეზე გავრცელდეს:

2.1.1 თუ მხარეები თანახმა არიან, რომ დავა სასამართლოში გაგრძელდეს;

2.1.2 თუ არსებობს არსებითი კავშირი დავის განმხილველი სასამართლოს სახელმწიფოსა და გარიგების მხარეს ან სადავო ხდომილებას შორის. არსებითი კავშირი გულისხმობს ისეთ შემთხვევას, როდესაც გარიგების ან ხდომილების მნიშვნელოვანი ნაწილი საქმის განმხილველი სასამართლოს სახელმწიფოში განხორციელდა, როდესაც მოპასუხე ფიზიკური პირი არის საქმის განმხილველი სასამართლოს სახელმწიფოს მუდმივი მაცხოვრებელი, ან იურიდიულ პირს ამ სახელმწიფოში აქვს დარეგისტრირებული თავისი ორგანიზაცია ან იქ არის მისი ძირითადი ბიზნეს-საქმიანობის ადგილი, ან სადავო ქონების ადგილსამყოფელი.

2.2 განსჯადობა ასევე შესაძლოა გავრცელდეს იმ შემთხვევაში, თუ სხვა სასამართლო არ არის ხელმისაწვდომი შემდეგ გარემოებათა გამო:

2.2.1 მოპასუხე ამ სახელმწიფოში იმყოფება ან მისი მოქალაქეა; ან

2.2.2 მოპასუხის ქონების ადგილსამყოფელი ამ სახელმწიფოშია, იმისდა მიუხედავად ეხება თუ არა დავა ქონებას, მაგრამ სასამართლოს უფლებამოსილების გავრცელება მხოლოდ ქონებით ან მისი ღირებულებით უნდა შემოიფარგლებოდეს.

2.3. სასამართლომ შეიძლება უზრუნველყოფის ზომები გაატაროს საქმის განმხილველი სასამართლოს სახელმწიფოს ტერიტორიაზე მყოფი ადამიანის და საკუთრების მიმართ მაშინაც კი, თუ დავა არ არის სასამართლოს იურისდიქციაში.

2.4 როგორც წესი, განსჯადობა არ უნდა გავრცელდეს, თუ მხარეები წინასწარ თანხმდებიან, რომ სხვა სასამართლოს გააჩნია განსჯადობის ექსკლუზიური უფლება.

2.5 შეიძლება განსჯადობა არ გავრცელდეს ან განხილვის პროცესი შეწყდეს იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო აშკარად შეუსაბამოა სხვა უფრო შესაბამის სასამართლოსთან შედარებით, რომელსაც შეუძლია სამართალწარმოება განახორციელოს.

2.6 სასამართლომ უარი უნდა თქვას განსჯადობაზე ან შეაჩეროს სამართალწარმოება, თუ დავა მიმდინარეობს სხვა უფლებამოსილ სასამართლოში, თუ არ გამოიკვეთება, რომ იმ სასამართლოში დავა სამართლიანად, ეფექტურად და სწრაფად ვერ გადაწყდება.

ა) საქმის განმხილველი სასამართლოს საპროცესო კანონით და საერთაშორისო კონვენციებით გათვალისწინებულ შეზღუდვას დაქვემდებარებულ დავებზე სასამართლომ შეიძლება ჩვეულებრივად გაავრცელოს განსჯადობა მხარეთა თანხმობით. თუ მხარეებს განსჯადობის გასაჩივრების სამართლიანი შესაძლებლობა არ ექნებათ, სასამართლომ არაპირდაპირი თანხმობის საფუძველზე არ უნდა გაავრცელოს განსჯადობა. თუ მხარეთა თანხმობა არ იქნება და რომელიმე

ტრიბუნალს ან სასამართლოს განსჯადობის ექსკლუზიური უფლება მხოლოდ მხარეთა შეთანხმების საფუძველზე აქვს, როგორც წესი, სასამართლოს შეუძლია განსჯადობა მხოლოდ იმ შემთხვევაში გაავრცელოს, თუ დავა ამ სასამართლოსთან არის დაკავშირებული, რასაც 2.1.2-ე პუნქტი ითვალისწინებს.

ბ) "აშკარა კავშირის" სტანდარტი, ზოგადად, საერთაშორისო სამართლებრივი დავებისთვის შემოიღეს. ამ სტანდარტის გამოყენება აუცილებლად მოიცავს პრაქტიკული განსჯადობისა და თვითშეზღუდვის ელემენტებს. ამ სტანდარტით გამორიცხულია განსჯადობა მხოლოდ ადგილზე ყოფნის საფუძველზე გავრცელდეს, რასაც შეერთებულ შტატებში სასაუბრო ენაზე "tag jurisdiction" უწოდებენ. ამერიკის ფედერალიზმის პირობებში ისტორიული დასაბუთება აქვს განსჯადობას მხოლოდ ადგილზე ფიზიკურად ყოფნის საფუძველზე, რაც თანამედროვე საერთაშორისო დავებისთვის შეუსაბამოა. „აშკარა კავშირის“ კონცეფცია შეიძლება დაზუსტდეს და საერთაშორისო კონვენციებსა და ეროვნულ კანონმდებლობებში აისახოს. ამ გამოთქმას შეიძლება ყველა სისტემაში ერთი და იგივე მასშტაბი არ ჰქონდეს. ამასთან, ეს კონცეფცია მხარს არ უჭერს ზოგად განსჯადობას ისეთი "საქმიანობის" საფუძველზე, რომელიც დაკავშირებული არაა გარიგებასთან ან სადავო შემთხვევასთან.

გ) პუნქტი 2.2 მოიცავს "forum necessitatis" კონცეფციას - სასამართლოს აუცილებლობა, რომლის საფუძველზეც სასამართლოს შეუძლია სათანადოდ მიიჩნიოს განსჯადობა, თუ სხვა სასამართლო არ არის ხელმისაწვდომი.

დ) პუნქტი 2.3 აღიარებს, რომ სახელმწიფოს შეუძლია გაავრცელოს განსჯადობა ადგილობრივი ქონების სეკვესტრისა და დაყადაღების გზით, მაგალითად, შესაძლო გადაწყვეტილების უზრუნველყოფის მიზნით, თუნდაც ქონება სადაო არ იყოს ან დავას არ ექვემდებარებოდეს. ადგილობრივ ქონებასთან დაკავშირებულ პროცედურებს ზოგიერთ იურიდიულ სისტემაში "quasi in rem-განსჯადობა" ეწოდება ". პუნქტი 2.3 ითვალისწინებს, რომ ასეთ შემთხვევაში განსახილველ დავასთან დაკავშირებული ზომები შეიძლება სხვა სასამართლომაც მიიღოს. ძირითადი დავის არსებითი მხარის განხილვა შეიძლება მოხდეს სხვა სასამართლოზე. არამატერიალური ქონების ადგილმდებარეობა შეიძლება განისაზღვროს სასამართლო საპროცესო კანონის შესაბამისად.

ე) მხარის შეთანხმება ექსკლუზიურ განსჯადობაზე, მათ შორის საარბიტრაჟო შეთანხმება, როგორც წესი, უნდა შესრულდეს.

ვ) 2.5-ე პუნქტში აღიარებული კონცეფცია საერთო სამართლის სისტემაში არსებული „სასამართლოს შეუსაბამობის წესის“ ანალოგიურია. სამოქალაქო სამართლის ზოგიერთ სისტემაში მოცემულია კონცეფცია სასამართლოს ბოროტად გამოყენების თავიდან აცილების შესახებ. ამ პრინციპის ამოქმედება შეიძლება სასამართლო განხილვის შეჩერებით სხვა ტრიბუნალის სასარგებლოდ. მისი გამოყენებისთვის აუცილებელია შესაბამისი სასამართლო არსებობდეს. ამ პრინციპის ინტერპრეტაცია დაკავშირებულია „მხარეთა საპროცესო თანასწორობის პრინციპთან“, რომელიც კრძალავს ნებისმიერი სახის დისკრიმინაციას ეროვნების ან საცხოვრებელი ადგილის გამო. იხილეთ პუნქტი 3.2.

ზ) სხვა პროცესების მასშტაბებისა და ვადების დაცვის შესახებ, როგორც არის *lis pendens* იხილეთ 10.2-ე და 28.1-ე პუნქტები.

3. მხარეთა საპროცესო თანასწორობა

3.1 სასამართლომ უნდა უზრუნველყოს მოდავეების მიმართ თანაბარი მოპყრობა და საკუთარი უფლებების გამოყენების ან დაცვის გონივრული შესაძლებლობა.

3.2 თანაბარი მოპყრობის უფლება მოიცავს ნებისმიერი სახის უკანონო დისკრიმინაციის თავიდან აცილებას, განსაკუთრებით ეროვნების ან საცხოვრებელი ადგილის საფუძველზე. სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს ის სირთულეები, რომლებიც შეიძლება შეექმნას უცხო მხარეს სასამართლო განხილვაში მონაწილეობისას.

3.3 პირს არ უნდა მოეთხოვებოდეს ხარჯების უზრუნველყოფა ან საპროცესო უზრუნველყოფის ვალდებულება, მხოლოდ იმიტომ, რომ ეს პირი იმ სახელმწიფოს მოქალაქე ან რეზიდენტი არ არის, რომელ სახელმწიფოშიც ეს სასამართლოა.

3.4 ნებისმიერ შემთხვევაში, ადგილობრივი კანონები სასამართლოს წვდომის არაგონივრულ ტვირთს არ უნდა აკისრებდეს იმ პირს, რომელიც იმ სახელმწიფოს მუდმივი მაცხოვრებელი არ არის, რომელ სახელმწიფოშიც სასამართლოა.

კომენტარი:

ა) ამ პრინციპებში გამოყენებული ტერმინი "გონივრული" ნიშნავს "პროპორციულს", "მნიშვნელოვანს", "გადაუჭარბებელს" ან "სამართლიანს" კონტექსტის შესაბამისად. ასევე შეიძლება არამართლზომიერის საპირისპირო მნიშვნელობაც ჰქონდეს. გონივრულობის კონცეფცია გამორიცხავს ზედმეტად ტექნიკურ სამართლებრივ დავასაც და სასამართლოს დისკრეციის სხვადასხვა შესაძლებლობას უტოვებს საპროცესოს ნორმების მკაცრი, გადაჭარბებული ან უსაფუძვლოდ გამოყენების თავიდან ასაცილებლად.

ბ) უკანონო დისკრიმინაცია გულისხმობს დისკრიმინაციას ეროვნების, საცხოვრებელი ადგილის, სქესის, რასის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან განსხვავებული აზრის, ეროვნული ან სოციალური წარმოშობის, დაბადების ან სხვა სტატუსის, სექსუალური ორიენტაციის, ან ეროვნული უმცირესობის საფუძველზე. ნებისმიერი ფორმის უკანონო დისკრიმინაცია აკრძალულია, მაგრამ საერთაშორისო კომერციულ დავებში განსაკუთრებულად მგრძნობიარე საკითხია დისკრიმინაცია ეროვნების ან საცხოვრებელი ადგილის საფუძველზე.

გ) მოსარჩელეთა სპეციალური დაცვა, მეურვეობის ან სხვა დამცავი პროცედურის მეშვეობით, მაგალითად მზრუნველის ან მეურვის მეშვეობით, ხელმისაწვდომი უნდა იყოს იმ პირთა ინტერესების დასაცავად, რომლებსაც სრული სამართლებრივი ქმედუნარიანობა არ გააჩნიათ, მაგალითად, არასრულწლოვნების. ასეთი დამცავი ზომები შეურაცხმყოფელი ფორმით არ უნდა განხორციელდეს უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიმართ.

დ) ზოგიერთი იურისდიქცია მოწინააღმდეგე მხარისგან მიყენებული შესაძლო ზიანის მომავალში სრული ანაზღაურების გარანტირების მიზნით პირისგან ხარჯების უზრუნველყოფას ანუ დროებით უზრუნველყოფის ვალდებულებას მოითხოვს. სხვა

იურისდიქციები ასეთ უზრუნველყოფას არ მოითხოვენ, ზოგიერთს კი სამართლის ხელმისაწვდომობისა და მხარეთა თანასწორობის დებულებები აქვს კონსტიტუციაში, რითაც ასეთ უზრუნველყოფას კრძალავს. 3.3-ე პუნქტი წარმოადგენს კომპრომისს ამ ორ პოზიციას შორის და ამ თვალსაზრისით სასამართლოს საპროცესო კანონის მოდიფიცირებას არ ითხოვს. მაგრამ არამოქალაქე და არარეზიდენტი პირების ქმედითი პასუხისმგებლობა სასამართლო ხარჯებზე და დროებითი უზრუნველყოფის ვალდებულება ზოგადი სტანდარტებით უნდა შეფასდეს.

ე) ზოგადად, ეროვნული სისტემის ადგილობრივი კანონები (ტერიტორიული კომპეტენცია) გამოხატავს, თუ რამდენად მოქნილია მოსარჩელეთათვის სამართალწარმოება ამ ქვეყანაში. მათი გამოყენება უნდა მოხდეს 3.4-ე პუნქტში მითითებული სასამართლოს მოქნილობის პრინციპის გათვალისწინებით. თუ ადგილობრივი კანონი მნიშვნელოვან მოუქნელობას ქმნის სამართალწარმოების სახელმწიფოში, ეს კანონი არ უნდა გავრცელდეს თუ არსებობს სამართალწარმოების სხვა უფრო მისაღები ადგილი სამართალწარმოების სახელმწიფოში და დავა დაუსაბუთებლად მოუხერხებელი ადგილიდან სხვა სასამართლოს გადაეცეს.

4. ადვოკატის ჩართვის უფლება

4.1 მხარეს უფლება აქვს ჩართოს თავისი არჩეული ადვოკატი, რომელიც მისი წარმომადგენელი იქნება სასამართლოში და აქტიურ დახმარებას გაუწევს პროცესზე, მათ შორის, ადვოკატი, რომელიც ამ სასამართლოში ეწევა პრაქტიკას და ადვოკატი, რომელიც სხვაგან ახორციელებს პრაქტიკას.

4.2 ადვოკატის პროფესიული დამოუკიდებლობა დაცული უნდა იყოს. ადვოკატს უფლება უნდა ჰქონდეს დაიცვას კლიენტისადმი ლოიალობის და კონფიდენციალურობის ვალდებულება.

კომენტარი:

ა) სასამართლოს შეუძლია მართებულად მოითხოვოს, რომ მხარის წარმომადგენელ ადვოკატს ჰქონდეს სასამართლო პრაქტიკის წარმოების უფლება, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მხარეს ასეთი ადვოკატის დაქირავების შესაძლებლობა არა გააჩნია. ამასთანავე, მხარეს უფლება უნდა ჰქონდეს სხვა ადვოკატებმა გაუწიონ დახმარება, განსაკუთრებით მისმა მუდმივმა ადვოკატმა, რომელსაც უნდა შეეძლოს დავის განხილვის ყველა ეტაპზე დასწრება და მასში აქტიური მონაწილეობის მიღება.

ბ) ადვოკატი, რომელსაც საადვოკატო საქმიანობის უფლება აქვს მხარის სამშობლოში, ამ პრინციპის თანახმად, უფლებამოსილი არ არის მხარის ერთადერთი წარმომადგენელი იყოს უცხო ქვეყნის სასამართლოებში. ეს საკითხი სასამართლოს საპროცესო კანონით უნდა დარეგულირდეს, გარდა იმისა, რომ უცხოელ ადვოკატს სხდომაზე დასწრებისა და სასამართლოსთვის არაფორმალურად მიმართვის უფლება უნდა ჰქონდეს.

გ) ადვოკატისა და კლიენტის ურთიერთობა, როგორც წესი, სასამართლოს საპროცესო ნორმებით რეგულირდება, მათ შორის, კოლიზიური ნორმებით.

დ) სამართლებრივი ეთიკის პრინციპები სხვადასხვა ქვეყანაში გარკვეულწილად ერთმანეთისგან განსხვავდება. თუმცა, ყველა ქვეყანამ უნდა აღიაროს, რომ დამოუკიდებელ ადვოკატებს თავიანთი კლიენტების ინტერესებისა და, ზოგადად, მათთან მუშაობისას მოპოვებული კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვა მოეთხოვებათ.

5. დროული შეტყობინება და მოსმენის უფლება

5.1 საქმის წარმოების დაწყებისას ყველა მხარეს, და არა მხოლოდ მოსარჩელეს, გონივრული და ეფექტიანი საშუალებით ეგზავნება შეტყობინება. შეტყობინებას თან უნდა ერთვოდეს სარჩელის ასლი ან სხვა სახის დოკუმენტი, რომელიც უნდა შეიცავდეს სასარჩელო მოთხოვნას და მოსარჩელის მიერ მოთხოვნილ სასამართლო დაცვის საშუალებას. მხარეს, რომლის მიმართაც სარჩელია აღძრული, უნდა ეცნობოს შეპასუხების პროცედურისა და თუ დროულად ვერ მოახდენს შეპასუხებას, დაუსწრებელი წარმოების შესაძლებლობის შესახებ.

5.2. 5.1-ე პუნქტში მითითებული დოკუმენტები წარმოდგენილი უნდა იყოს დავის განმხილველი სასამართლოს სახელმწიფოს ენაზე და აგრეთვე იმ სახელმწიფოს ენაზე, რომელ სახელმწიფოშიც ფიზიკურ პირს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი აქვს, იურიდიული პირის შემთხვევაში კი იმ სახელმწიფოს ენაზე, რომელიც მისი საქმიანობის ძირითადი ადგილსამყოფელია, ან იმ ენაზე, რა ენაზეც გარიგების ძირითადი დოკუმენტებია შედგენილი. მოპასუხემ და სხვა მხარეებმა შეტყობინება თავიანთი შესაგებელის ან სხვა სადავო საკითხებისა და პრეტენზიების შესახებ იმ ენაზე უნდა წარადგინონ, რა ენაზეც სამართალწარმოება მიმდინარეობს, როგორც მე-6 პრინციპშია გათვალისწინებული.

5.3 სამართალწარმოების დაწყების შემდეგ ყველა მხარეს დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს მეორე მხარის სასარჩელო განცხადებისა და შუამდგომლობების, ასევე, სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ.

5.4 მხარეებს უფლება აქვთ წარადგინონ ფაქტობრივი და სამართლებრივი არგუმენტები და დაურთონ გამამყარებელი მტკიცებულებები.

5.5 მხარეს უნდა ჰქონდეს სათანადო შესაძლებლობა და გონივრულად საკმარისი დრო მეორე მხარის მიერ წამორმოდგენილ ფაქტობრივ და სამართლებრივ არგუმენტებზე, მათ გამამყარებელ მტკიცებულებებსა თუ სასამართლოს გადაწყვეტილებებსა და შეთავაზებებზე შეპასუხებისათვის.

5.6 სასამართლომ უნდა განიხილოს მხარეთა მიერ წარმოდგენილი ყველა არგუმენტი და მხედველობაში მიიღოს ის არგუმენტები, რაც არსებით საკითხს უკავშირდება.

5.7 ურთიერთშეთანხმებითა და სასამართლოს თანხმობით მხარეებს შეუძლიათ კომუნიკაციის ისეთი დაჩქარებული საშუალებები გამოიყენონ, როგორცაა ტელეკომუნიკაცია.

5.8. მხარის ინტერესებთან დაკავშირებული განკარგულება ამ მხარისთვის წინასწარი შეტყობინების გარეშე შეიძლება გაიცეს და აღსრულდეს მხოლოდ გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში და მხოლოდ სამართლიანობის საფუძველზე. *Ex parte*

(დაუსწრებელი) განკარგულება იმ ინტერესების თანაზომიერი უნდა იყოს, რომელთა დაცვასაც მოსარჩელე ითხოვს. დაზარალებულ მხარეს უმოკლეს ვადაში უნდა ეცნობოს განკარგულების და მის საფუძვლად დადებული ფაქტების შესახებ, და მას უფლება უნდა ჰქონდეს სასამართლოსგან მისი დაუყოვნებლივი და სრული გადასინჯვა მოითხოვოს.

კომენტარი:

ა) შეტყობინების გაგზავნის ეს კონკრეტული პროცედურა სხვადასხვა სამართლებრივ სისტემაში სხვადასახვაგვარია. მაგალითად, ზოგიერთ სისტემაში სასამართლოს ევალება მხარეებისთვის შეტყობინებისა და სარჩელის ასლების გაგზავნა, ხოლო სხვა სისტემებში ეს მოვალეობა თვითონ მხარეებს ეკისრებათ. კონკრეტული შეტყობინების ამოცანის განსაზღვრისას აუცილებელია სასამართლო შეტყობინების გაგზავნის ტექნიკური ნორმების დაცვა.

ბ) დაუსწრებელი სამართალწარმოების შესაძლებლობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საერთაშორისო სასამართლო დავის დროს.

გ) მხარის უფლება, ინფორმირებული იყოს მეორე მხარის არგუმენტების შესახებ, თანხვედრაშია სასამართლოს პასუხისმგებლობასთან, რაც 22 – ე პრინციპშია მითითებული.

დ) 5.5-ე პუნქტის თანახმად, იმისათვის, რომ თითოეულ მხარეს შესაძლებლობა ჰქონდეს თავისი სასამართლო საქმე დროულად მოაგვაროს, მხარეებმა ადრეულ ეტაპზე უნდა აცნობონ ერთმანეთს იმ ფაქტობრივი ელემენტების შესახებ, რასაც მათი სარჩელი და შესაგებელი ეფუძნება, და იმ სამართლებრივი ნორმების შესახებ, რომელსაც დაეყრდნობიან.

ე) 5.6-ე პუნქტში მითითებული სტანდარტი სასამართლოსგან არ მოითხოვს იმ საკითხების განხილვას, რომელიც წარმოების წინა ეტაპზე გადაწყდა ან რომელიც საჭირო არ არის გადაწყვეტილების მისაღებად. იხილეთ 23-ე პრინციპი, რომელიც მოითხოვს, რომ წერილობით გადაწყვეტილებას თან უნდა ახლდეს მისი სამართლებრივი, მტკიცებულებითი და ფაქტობრივი საფუძვლის დასაბუთებული ახსნა-განმარტება.

ვ) სასამართლო საპროცესო კანონი შეიძლება ითვალისწინებდეს დაჩქარებული საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებას მხარის თანხმობის ან სასამართლოს სპეციალური განკარგულების გარეშე.

ზ) 5.8-ე პუნქტი აღიარებს ისეთი *ex parte* სამართალწარმოების მიზანშეწონილობას, როგორცაა დროებითი აკრძალვა ან ქონების დაყადაღების ბრძანება (დროებითი უზრუნველყოფის ღონისძიებები), განსაკუთრებით, საქმის განხილვის საწყის ეტაპზე. ხშირად, ასეთი განკარგულებები მხოლოდ იმ შემთხვევაშია ეფექტური, თუ წინასწარი შეტყობინების გარეშე აღსრულდება. მოწინააღმდეგე მხარეს დაუყოვნებლივ უნდა გაეგზავნოს შეტყობინება ასეთი განკარგულების შესახებ, უნდა მიეცეს მყისიერი გამოხატვის შესაძლებლობა და განკარგულების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლის სრული გადასინჯვის უფლება. *Ex parte* პროცესი რეგულირდება მე-8 პრინციპით. იხილეთ პრინციპები 1.4 და 8.

6. ენები

6.1 საქმის განხილვა, მათ შორის დოკუმენტები და ზეპირი კომუნიკაცია, როგორც წესი, უნდა წარმოებდეს საქმის განმხილველი სასამართლოს ენაზე.

6.2 სამართალწარმოებაში სასამართლომ შეიძლება სხვა ენების სრულად ან ნაწილობრივ გამოყენება დაუშვას, თუ ეს მხარეს არავითარ ზიანს არ მიაყენებს.

6.3 თუ მხარე ან მოწმე სამართალწარმოების ენას არ ფლობს, თარგმანი უზრუნველყოფილი უნდა იყოს. შესაძლებელია ვრცელი ან მოცულობითი დოკუმენტების ნაწილობრივ თარგმნა, მხარეთა შეთანხმების ან სასამართლოს განკარგულების საფუძველზე.

კომენტარი:

ა) სასამართლომ იმ ენაზე უნდა განახორციელოს სამართალწარმოება, რა ენასაც თავისუფლად ფლობს. როგორც წესი, ეს უნდა იყოს იმ სახელმწიფოს ენა, რომელსაც სახელმწიფოშიც სასამართლო მდებარეობს. თუმცა, თუ სასამართლოსა და მხარეებს შესაძლებლობა აქვთ რომელიმე უცხო ენა გამოიყენონ, მხარეთა შეთანხმებით ან მოსამართლის მოთხოვნით შესაძლებელია ამ ენის სრულად ან ნაწილობრივ გამოყენება სამართალწარმოებაში, მაგალითად, მოწმის კონკრეტული დოკუმენტის წარდგენა ან ჩვენების ჩამორთმევა მოწმის მშობლიური ენაზე.

ბ) ხშირად საერთაშორისო სამართალწარმოების პროცესში მოწმეები და ექსპერტები კომპეტენტური არ არიან სამართალწარმოების ენაში. ასეთ შემთხვევაში, სასამართლოსა და სხვა მხარეებისთვის საჭირო იქნება თარგმანი. ჩვენების ჩამორთმევა უნდა მოხდეს თარჯიმნის დახმარებით, სადაც მტკიცებულების წარმდგენი მხარე გადაიხდის თარგმანის ხარჯებს, თუ სასამართლოს მიერ სხვაგვარად არ არის დადგენილი. ალტერნატივის სახით, მხარეთა თანხმობით ან სასამართლოს ბრძანებით მოწმეს შეიძლება წერილობითი ჩვენება ჩამოერთვას, შემდეგ ეს ჩვენება ითარგმნოს და მოსმენაზე წარსდგეს.

7. სწრაფი სამართალწარმოება

7.1 სასამართლომ გონივრულ ვადაში უნდა გადაწყვიტოს დავა.

7.2 მხარეებს აქვთ თანამშრომლობის ვალდებულება და სათანადო კონსულტაციის უფლება ვადებთან დაკავშირებით. შეიძლება საპროცესო ნორმებითა და სასამართლო აქტებით კანონზომიერი ვადები განისაზღვროს და მხარეებსა და მათ ადვოკატებს სანქციები დაეკისროს ამ ნორმებისა და აქტების გაუმართლებელი მიზეზით შეუსრულებლობის გამო.

კომენტარი:

ა) ყველა სამართლებრივ სისტემაში სასამართლო ვალდებულია საქმის განხილვა დააჩქაროს. საყოველთაოდ აღიარებული აქსიომაა, რომ ”დაგვიანებული სამართალი უკვე სამართალი აღარაა.” ზოგიერთ სისტემას აქვს კონკრეტული გრაფიკი, რომლის მიხედვითაც ეტაპობრივად უნდა განხორციელდეს საქმის წარმოება.

ბ) სამართლიანობის სწრაფად აღსრულება მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობაზეა დამოკიდებული და შეიძლება ადამიანის ძირითად უფლებადაც განიხილებოდეს, მაგრამ ამავდროულად ზომიერად უნდა იცავდეს მხარის უფლებას, რომ სათანადო შესაძლებლობა ჰქონდეს მოამზადოს და წარადგინოს საქმე სასამართლოში.

8. დროებითი უზრუნველყოფისა და დაცვის ღონისძიებები

8.1 საჭიროების შემთხვევაში სასამართლოს შეუძლია სარჩელის დროებითი უზრუნველყოფა დაუშვას, რათა საბოლოო გადაწყვეტილების ეფექტური აღსრულება ან სტატუს კვოს შენარჩუნება ან სხვაგვარად დარეგულირება უზრუნველყოს. დროებითი უზრუნველყოფის ღონისძიებები პროპორციულობის პრინციპით რეგულირდება.

8.2 წინასწარი შეტყობინების გარეშე სასამართლოს შეუძლია დროებითი უზრუნველყოფის შესახებ ბრძანება მხოლოდ გადაუდებელი აუცილებლობისას და სამართლიანი განსჯის უპირატესობიდან გამომდინარე გასცეს. მოსარჩელემ სრულად უნდა გაამყდავნოს ფაქტები და სამართლებრივი საკითხები, რომელთა შესახებაც სასამართლო სათანადოდ უნდა იყოს ინფორმირებული. პირს, რომლის წინააღმდეგაც მიმართულია *ex parte* უზრუნველყოფა, შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს, უმოკლეს ვადაში მოახდინოს რეაგირება უზრუნველყოფის ღონისძიების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით

8.3 როგორც წესი, დროებითი უზრუნველყოფის მთხოვნელს ეკისრება კომპენსაციის გადახდა იმ პირისათვის, რომლის მიმართაც უზრუნველყოფის ღონისძიება გატარდა, თუ შემდგომში სასამართლო დაადგენს, რომ ასეთი ღონისძიება არ უნდა გატარებულყო. საჭირო შემთხვევაში, სასამართლომ დროებითი უზრუნველყოფის მთხოვნელს უნდა მოსთხოვოს გირაოს გადახდა ან კომპენსაციის ვალდებულების ოფიციალურად აღება.

კომენტარი:

ა) „დროებითი უზრუნველყოფა“ მოიცავს აგრეთვე „აკრძალვის“ ცნებას, რაც მოითხოვს ან კრძალავს განსაზღვრული ქმედების განხორციელებას, მაგალითად, ქონების არსებულ მდგომარეობაში შენარჩუნებას. პუნქტი 8.1 უფლებამოსილებას ანიჭებს სასამართლოს მტკიცებითი ფორმით გამოსცეს განკარგულება, რომელიც მოქმედების შესრულებას მოითხოვს, ან უარყოფითი ფორმით, რომელიც კონკრეტულ ქმედებას ან ქმედებათა ერთობლიობას კრძალავს. ეს ტერმინი აქ ზოგადი გაგებით არის გამოყენებული და ყადაღას, სეკვესტრს და სხვა ღონისძიებებს მოიცავს. ცნება „რეგულირება“ გულისხმობს ღონისძიებების გატარებას უთანხმოების მიზეზების აღმოსაფხვრელად, მაგალითად, პარტნიორული კომპანიის მენეჯმენტის კონტროლს პარტნიორთა შორის სამართლებრივი დავისას. დროებითი უზრუნველყოფის ან შუალედური უზრუნველყოფის გამოყენების შესაძლებლობა, როგორცაა სეკვესტრი ან დაყადაღება, უნდა განისაზღვროს სასამართლოს საპროცესო კანონით, მათ შორის საერთაშორისო სამართლის სათანადო პრინციპებით. ასევე, სასამართლომ შეიძლება გასცეს განკარგულება ნებისმიერ ადგილზე მდებარე

ქონების მხილების შესახებ, ანუ დროებითი უზრუნველყოფა დაუშვას არბიტრაჟის დასახმარებლად ან საარბიტრაჟო დროებითი ღონისძიებების გასატარებლად.

ბ) პუნქტები 5.8 და 8.2 სასამართლოს უფლებას აძლევს, იმ პირის შეუტყობინებლად გასცეს განკარგულება, ვის წინააღმდეგაც ის არის მიმართული, იმ შემთხვევაში, თუ ეს გადაუდებელი აუცილებლობით არის განპირობებული. „გადაუდებელი აუცილებლობა“, რაც *ex parte* ბრძანების საფუძველი უნდა იყოს, პრაქტიკული კონცეფციაა, ისევე როგორც სამართლიანი განსჯის უპირატესობის კონცეფცია. ეს უკანასკნელი საერთო სამართლის „სამართლიანობის ბალანსის“ კონცეფციას შეესატყვისება. სამართლიანი განსჯა ითვალისწინებს სარჩელის ძლიერ არგუმენტებს, საზოგადოებრივ ინტერესს, ასეთის არსებობის შემთხვევაში, დროებითი უზრუნველყოფის ღონისძიებების გადაუდებელ აუცილებლობას და პრაქტიკულ ტვირთს, რომელიც შეიძლება უზრუნველყოფის ღონისძიებებისგან მომდინარეობდეს. ასეთი ღონისძიებები, როგორც წესი, ცნობილია, როგორც *ex parte* ბრძანება. იხილეთ პრინციპი 1.4.

გ) სასამართლომ *ex parte* განკარგულების მოთხოვნის განხილვისას უნდა განსაჯოს, რამდენად დასაბუთებულად და კონკრეტულად აქვს აპლიკანტს წარმოჩენილი ასეთი განკარგულების გაცემის აუცილებლობა განსახილველი ვითარების უკიდურესი გაუარესების თავიდან ასაცილებლად, და არაგონივრული იქნება, თუ ამ განკარგულების გაცემას მოწინააღმდეგე მხარის მოსმენამდე გადაავადებს. დასაბუთების ტვირთი ეკისრება იმ მხარეს, რომელიც *ex parte*-განკარგულების გაცემას მოითხოვს. ამასთან, მოწინააღმდეგე მხარეს ანუ პირს, რომლის მიმართაც გაიცემა ეს განკარგულება, უმოკლეს ვადაში უნდა გაეგზავნოს შეტყობინება ამ განკარგულების შესახებ და მასზე, თუ რას ემყარება იგი, და მას უფლება უნდა ჰქონდეს სასამართლოს მიმართოს ბრძანების დაუყოვნებლივ გადასინჯვის თაობაზე. მხარეს, ანუ პირს, უნდა ჰქონდეს გადაწყვეტილების ხელახლა *de novo* განხილვის შესაძლებლობა, მათ შორის მტკიცებულებების წარდგენის შესაძლებლობაც. იხილეთ პრინციპი 8.2.

დ) ზოგადად, პროცესუალური ნორმები მოითხოვს, რომ მხარემ, რომელიც *ex parte*-განკარგულებას ითხოვს, სრულად უნდა გაუმხილოს სასამართლოს ყველა სამართლებრივი საკითხისა და ფაქტის შესახებ, მათ შორის, მისივე ინტერესების საწინააღმდეგოდ და მოწინააღმდეგის სასარგებლოდ, რაც სასამართლომ განკარგულების გაცემისას სამართლებრივად უნდა გაითვალისწინოს. ინფორმაციის გაუმჟღავნებლობა განკარგულების გაუქმების საფუძველია და შესაძლოა ამ მხარის მიერ ზიანის ანაზღაურების ვალდებულების საფუძველიც გახდეს. ზოგიერთ სამართლებრივ სისტემაში შეცდომით გაცემული ბრძანების შედეგად მიყენებული ზარალის შეფასება სულაც არ ასახავს აღნიშნული საკითხის სათანადოდ გადაჭრის გზას.

ე) დაინტერესებული პირების მოსმენის შემდეგ, სასამართლომ შეიძლება გამოსცეს, შეაჩეროს, განაახლოს ან შეცვალოს განკარგულება. თუ სასამართლოს ერთხელ უკვე უარი აქვს ნათქვამი *ex parte*-განკარგულების გაცემაზე, მოსმენის შემდეგ შეიძლება მაინც გასცეს ასეთი განკარგულება. თუ სასამართლოს უკვე გამოტანილი აქვს *ex*

parte-განკარგულება, მას შეუძლია შეაჩეროს, განაახლოს ან შეცვალოს განკარგულება მოსმენაზე გამოვლენილი საკითხების გათვალისწინებით. მტკიცების ტვირთი განკარგულების მართებულობის დასადასტურებლად ეკისრება მხარეს, რომელიც მას ითხოვს.

ვ) პუნქტი 8.3 უფლებამოსილებას ანიჭებს სასამართლოს მოითხოვოს ფულადი ან სხვა სახის კომპენსაცია იმ ზიანისა და ზარალის დასაფარად, რომელიც შესაძლოა ამ განკარგულებამ გამოიწვიოს. ამგვარი კომპენსაციის დეტალები განისაზღვრება სასამართლოს საპროცესო კანონით. კომპენსაციის ვალდებულება მხოლოდ ნაგულისხმევი კი არ უნდა იყოს, არამედ ამკარად უნდა დადგინდეს და შესაძლოა მესამე მხარის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით გაფორმდეს.

ვ) მრავალ სისტემაში სასამართლოს საპროცესო კანონის თანახმად, ამ პრინციპით გათვალისწინებული განკარგულება მყისიერ სააპელაციო განხილვას ექვემდებარება. ზოგიერთ სისტემაში ასეთი განკარგულება მოკლევადიანია და სააპელაციო განხილვის დაიწყებამდე, დაყოვნებულივ გადაისინჯება პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ. განხილვის გარანტია განსაკუთრებული აუცილებლობაა, როდესაც განკარგულება მხარეთა დაუსწრებლად გამოიცემა. მეორე ინსტანციის სასამართლოს მიერ განხილვა სხვადასხვა სისტემაში სხვადასხვაგვარად რეგულირდება. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ამგვარი განხილვა შეიძლება დროის ფუჭად დაკარგვა ან პროცედურული დარღვევა იყოს.

9. სამართალწარმოების სტრუქტურა

9.1 სამართალწარმოება, როგორც წესი, სამი ეტაპისგან შედგება: მოსამზადებელი ეტაპი, შუალედური ეტაპი და დასკვნითი ეტაპი.

9.2 მოსამზადებელ ეტაპზე მხარეებმა წერილობით უნდა წარმოადგინონ სარჩელი, შესაგებელი და სხვა დოკუმენტები, განსაზღვრონ პრინციპული მტკიცებულებები.

9.3 შუალედურ ეტაპზე სასამართლო საჭიროების შემთხვევაში:

9.3.1 იწვევს სხდომებს პროცესის ჩასატარებლად;

9.3.2 ადგენს საქმის მსვლელობის ამსახველ გრაფიკს;

9.3.3 არეგულირებს ადრეულ საყურადღებო საკითხებს, როგორც არის, განსჯადობის, წინასწარი უზრუნველყოფისა და შეზღუდვების (ხანდაზმულობა) საკითხები;

9.3.4 არეგულირებს მტკიცებულებათა ხელმისაწვდომობას, მიღებას, გამჟღავნებას და გაცვლას;

9.3.5 ადგენს პოტენციურ დისპოზიციურ საკითხებს დავის სრულად ან ნაწილობრივ გადასაწყვეტად ადრეულ ეტაპზე; და

9.3.6 მოითხოვს ჩვენების ჩამორთმევას.

9.4 დასკვნით ეტაპზე, როგორც წესი, ის მტკიცებულება, რომელიც 9.3.6-ე პუნქტის თანახმად სასამართლოს ჯერ კიდევ არ აქვს მიღებული, საბოლოო შემაჯამებელ მოსმენაზე უნდა წარმოადგინონ, რაზედაც მხარეებმაც უნდა წამოაყენონ თავიანთი საბოლოო არგუმენტები.

კომენტარი:

ა) კონკრეტული საქმის ხასიათიდან გამომდინარე, სამართალწარმოების „სტრუქტურის“ კონცეფცია მოქნილად უნდა იყოს გამოყენებული. მაგალითად, თუ მოხერხდება, მოსამართლეს სხდომის გამართვის დისკრეციული უფლება უნდა ჰქონდეს მოსამზადებელ ეტაპზე, ხოლო საქმის მსვლელობისას რამდენიმე სხდომის გამართვა უნდა შეეძლოს.

ბ) თანმიმდევრული გრაფიკი ხელს უწყობს საქმის სწრაფად განხილვას. სასამართლოსა და მხარეთა ადვოკატებს შორის დისკუსია ამარტივებს პრაქტიკულ დაგეგმვასა და მოსმენების თანმიმდევრულად ჩატარებას. იხილეთ 14.2-ე პუნქტი და 14-ე პრინციპის ა) კომენტარი.

გ) ტრადიციულად, სამოქალაქო სამართლის სისტემებში პროცესები მოკლე თანმიმდევრული მოსმენების საშუალებით ფუნქციონირებდა, ხოლო საერთო სამართლის სისტემებში გასამართლებას საბოლოო „სასამართლო პროცესზე“ აწყობდნენ. თუმცა, თანამედროვე პრაქტიკაში ორივე სისტემის სასამართლოები ითვალისწინებენ წინასწარ მოსმენებს, სამოქალაქო (კონტინენტური) სამართლის სისტემებში კი სულ უფრო და უფრო ხშირად იყენებენ საბოლოო შემაჯამებელ მოსმენას საქმის არსთან დაკავშირებულ მტკიცებულებათა შეკრებასთან მიმართებაში.

დ) საერთო სამართლის სისტემებში პოტენციური დისპოზიციური საკითხების საბოლოო მოსმენამდე განხილვა ნიშნავს შუამდგომლობას დაჩქარებული გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე, რამაც სამართლებრივი საკითხები ან ფაქტებთან დაკავშირებული რეალური წინააღმდეგობის არსებობის საკითხი უნდა გადაწყვიტოს, ან ორივე ერთად. სამოქალაქო სამართლის იურისდიქციებში მსგავსი პროცედურები შუალედურ ეტაპზეა გათვალისწინებული.

ე) უმეტეს სისტემებში, გაპროტესტების უფლების დაკარგვის საფრთხის გამო, პირის მიმართ იურისდიქციის არ არსებობის საკითხი უნდა გაპროტესტდეს საქმის წარმოების ადრეულ ეტაპზე დაინტერესებული მხარის მიერ. საერთაშორისო სამართალწარმოებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ იურისდიქციის საკითხები მყისიერად მოგვარდეს.

10. მხარის ინიციატივა და სამართალწარმოების ფარგლები

10.1 სამართალწარმოება უნდა დაიწყოს მოსარჩელის პრეტენზიის ან პრეტენზიების საფუძველზე- და არა სასამართლოს ინიციატივით.

10.2 სასამართლოში საჩივრის წარდგენის მომენტიდან განისაზღვრება სარჩელის ხანდაზმულობა, *lis pendens* და ვადებთან დაკავშირებული სხვა მოთხოვნები.

10.3 საქმის წარმოების ფარგლები განისაზღვრება მხარეთა მიერ სასამართლოში შეტანილი სარჩელებითა და შესაგებლებით, მათ შორის, მათი შესწორებებით.

10.4 საფუძვლიანი მიზეზის შემთხვევაში დავის მონაწილე მხარეს უფლება აქვს შეცვალოს სარჩელი ან შესაგებელი სხვა მხარისათვის შეტყობინების გაგზავნამდე ისე, რომ საქმის წარმოების არაგონივრული შეფერხება ან სხვა მართლსაწინააღმდეგო შედეგი არ გამოიწვიოს.

10.5 მხარეებს უფლება აქვთ ნებაყოფლობით შეაჩერონ ან შეცვალონ სამართალწარმოება ან მისი ნაწილი გამოხმობის, მიმართვის ან შეთანხმების გზით.

არცერთ მხარეს არ უნდა მიეცეს უფლება ცალმხრივად შეწყვიტოს ან შეცვალოს მოქმედება, თუ ამით მეორე მხარეს ზიანი მიაღებება.

კომენტარი:

ა) ყველა თანამედროვე სისტემა აღიარებს მოდავე მხარის ინიციატივის საფუძვლიანობას დავის ფარგლებსა და პუნქტებთან დაკავშირებით. სწორედ დავის მხარეთა ინიციატივის ფარგლებში ასრულებს სასამართლო სამართლიანი სამართალწარმოების მოვალეობას. იხილეთ 10.3-ე და 28.2-ე პუნქტები. ეს პუნქტები მხარეებისგან მოითხოვს დეტალურად წარმოადგინონ დავის ფაქტობრივი და სამართლებრივი საკითხები. იხილეთ პუნქტი 11.3. ასეთი პრაქტიკა მკვეთრად განსხვავდება ამერიკული სამართალწარმოების უფრო თავისუფალ სისტემაში არსებული „სასარჩელო განცხადების“ პრაქტიკისგან.

ბ) ყველა სამართლებრივი სისტემა აწესებს საქმის წარმოების დაწყების ვადებს, რომელსაც საერთო სამართლის სისტემაში სასარჩელო ვადა ეწოდება, ხოლო სამოქალაქო სამართლის სისტემებში ხანდაზმულობის ვადა. სასამართლო საპროცესო კანონის თანახმად, სასამართლო უწყების გადაცემა ან გადაცემის მცდელობა საქმის წარმოების დაწყებიდან განსაზღვრულ ვადაში უნდა მოხდეს. სასამართლო სისტემათა უმრავლესობაში პრეტენზია დაშვებულია იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო უწყების გადაცემა ან გადაცემის მცდელობა საქმის წარმოების დაწყებიდან განსაზღვრულ ვადაში არ შესრულდა.

გ) ზოგიერთ სამართლებრივ სისტემაში საჩივრის დოკუმენტში ცვლილების შეტანის უფლება ძალიან შეზღუდულია. თუმცა, სახელდობრ საეთაშორისო დავებში, მხარეებს გარკვეული თავისუფლება ეძლევათ, განსაკუთრებით ახალი ან მოულოდნელი მტკიცებულებების წარმოდგენის შემთხვევაში. ცვლილების შეტანის უფლებით სარგებლობის შემთხვევაში სხვა მხარეებისთვის არასასურველი შედეგის თავიდან აცილება ან შეკავება შესაძლებელია განხორციელდეს საქმის შეჩერების ან გადავადების, ან ხარჯების ადეკვატური კომპენსაციის გზით.

დ) შეიძლება სასამართლო კანონმდებლობა მოსარჩელეს დროში შეზღუდულობის (სასარჩელო ვადა ანუ ხანდაზმულობის ვადა) მიუხედავად ახალი შესწორებული სარჩელის შეტანის უფლებას აძლევდეს იმის გათვალისწინებით, რომ იგი არსებითად იმავე ფაქტებზეა აგებული, რომელიც თავდაპირველ სარჩელს ედო საფუძვლად.

ე) იურისდიქციების უმეტესობა მოსარჩელეს უფლებას არ აძლევს საქმის წარმოების საწყისი ეტაპის გავლის შემდეგ მოპასუხის პროტესტის გამო შეაჩეროს საქმე.

11. მხარეთა და ადვოკატთა უფლება-მოვალეობანი

11.1 მხარეებმა და მათმა ადვოკატებმა პატივი უნდა სცენ სასამართლოსა და დავის სხვა მხარეებს.

11.2 მხარეები იზიარებენ სასამართლოს პასუხისმგებლობას, რომ ხელი შეუწყონ სამართლიანი, ეფექტური და ზომიერად სწრაფი გადაწყვეტილების მიღებას. მხარეებმა თავი უნდა შეიკავონ სამართალწარმოების ხელყოფისაგან, როგორცაა მოწმეებზე ზეწოლა ან მტკიცებულებათა განადგურება.

11.3 სარჩელის შეტანის ეტაპზე, მხარეებმა საფუძვლიანად უნდა აღწერონ დავასთან დაკავშირებული ფაქტები, დავის შემხებლობა კანონთან და წაყენებული მოთხოვნა; ზედმიწევნით აღწერონ მათი მოთხოვნების დამადასტურებელი, ხელთარსებული მტკიცებულება. თუ აღმოჩნდება, რომ რომელიმე მხარეს უნარი არ შესწევს შესაბამისი ფაქტების საჭირო დეტალები ანუ მტკიცებულების საჭირო მახასიათებლები წარმოადგინოს, სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს ის შესაძლებლობა, რომ საჭირო ფაქტები და მტკიცებულება მოგვიანებით, საქმის წარმოების პროცესში გამოვლინდება.

11.4 თუ რომელიმე მხარე მოწინააღმდეგე მხარის საჩივარზე უმართებულოდ ვერ მოახდენს დროულ რეაგირებას, ამ მხარის გაფრთხილების შემდეგ სასამართლოს შეუძლია ეს საკმარის საფუძვლად სცნოს იმისათვის, რომ საჩივარი მიიღოს ანუ დაეთანხმოს მას.

11.5 მხარეთა ადვოკატებს პროფესიული მოვალეობა აკისრიათ, დაეხმარონ მხარეებს საპროცესო ვალდებულებების შესრულებაში.

კომენტარი:

ა) ვერცერთი მხარე ვერ შეიტანს სარჩელს, შესაგებელს, შუამდგომლობას ან სხვა ინიციატივას ან საპასუხო განცხადებას, თუ კანონითა და ფაქტებით სათანადოდ არ არის გამყარებული. გარემოებისდა მიხედვით, ამ მოთხოვნებთან შეუსაბამობა შეიძლება სასამართლო პროცესის დარღვევად გამოცხადდეს და პასუხისმგებელი მხარე ფულად სანქციებს და ჯარიმებს დაექვემდებაროს. ამასთან, სასამართლოს პატივისცემის ვალდებულება არ ეწინააღმდეგება მხარეების კანონზომიერ ძალისხმევას განავრცონ არსებული კონცეფცია სხვადასახვა გარემოებისდა მიხედვით. რიგ შემთხვევებში, უსაფუძვლო ან არაკეთილსინდისიერი სარჩელი ან შესაგებელი შეიძლება სასამართლოს მოტყუებად განხილიბოდეს და შეიძლება საქმის აცილებას ან შეჩერებას, აგრეთვე, სანქციებსა და ჯარიმებს დაექვემდებაროს.

ბ) პუნქტი 11.3 მოითხოვს, რომ შეერთებული შტატების სამოქალაქო საპროცესო ფედერალური კანონმდებლობის მიერ ნებადართული „სასარჩელო განცხადებისგან“ განსხვავებით, სარჩელში მხარეებმა დეტალურად უნდა აღწერონ ფაქტები. „ზედმიწევნით აღწერა“, როგორც წესი, მოითხოვს იმ ძირითადი დოკუმენტების დადგენას, რომელიც სარჩელის ან შესაგებლის საფუძველს წარმოადგენს, და დადგენილ მოწმეთა სათანადო ჩვენებათა სავარაუდო მოკლედ შეჯამებას. იხილეთ პრინციპი 16.

გ) მოწინააღმდეგე მხარის მიერ არსობრივი დავის გასაჩივრებაზე უარის თქმა, როგორც წესი, შეიძლება აღიარებად განიხილებოდეს. იხილეთ აგრეთვე პრინციპი 21.3.

დ) საყოველთაო კანონია, რომ ადვოკატს პატიოსანი დამოკიდებულების პროფესიული და მორალური პასუხისმგებლობა უნდა გააჩნდეს ყველა მხარის, მათი ადვოკატების, მოწმეების და სასამართლოს მიმართ.

12. მრავლობითი სარჩელები და მხარეები; ჩართვა

12.1 მხარეს შეუძლია წამოაყენოს ნებისმიერი მოთხოვნა, რომელიც არსებითად დაკავშირებულია დავის საგანთან მოწინააღმდეგის ან იმ მესამე პირის წინააღმდეგ, რომელიც სასამართლოს იურისდიქციას ექვემდებარება.

12.2 პირს, რომელსაც საქმის წარმოებასთან არსებითად დაკავშირებული საკითხისადმი რაიმე ინტერესი გააჩნია, შეუძლია საქმეში ჩართვა მოითხოვოს. შეიძლება სასამართლომ თვითონ, ან მხარის ინიციატივით, მოითხოვოს იმ პირის გამოძახება, რომელსაც ასეთი ინტერესი აქვს და სთხოვოს ჩარევა. ჩარევა დასაშვებია, თუ ეს საქმის წარმოებაში არაგონივრულ შეფერხებას ან გაუგებრობას არ გამოიწვევს, ან რომელიმე მხარეს უსამართლო ზიანს არ მიაყენებს. სასამართლო საპროცესო კანონი შესაძლებელია უშვებდეს სამართალწარმოების მეორე ინსტანციაზე ჩარევას.

12.3 საჭიროების შემთხვევაში, სასამართლომ მხარის წარმომადგენელი პირის ჩანაცვლების ნებართვა უნდა გასცეს, ანუ მისი უფლებამონაცვლე აღიაროს.

12.4 საქმის წარმოებაში დამატებით ჩართულ მხარეს, როგორც წესი, მონაწილეობისა და თანამშრომლობის იგივე უფლება-მოვალეობნი გააჩნია, რაც თავდაპირველ მხარეებს. ამ უფლება-მოვალეობათა მოცულობა შეიძლება ჩართვის საფუძველზე, დროსა და გარემოებებზე იყოს დამოკიდებული.

12.5 სასამართლოს შეუძლია სარჩელების, საკითხების ან მხარეთა სხვა სასამართლო საქმეებისგან გამოყოფა ან გაერთიანება მოითხოვოს საქმის უფრო სამართლიანი ან ეფექტურად წარმართვისა და გადაწყვეტისათვის ან მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარე. ეს უფლება ვრცელდება იმ მხარეებსა და სარჩელებზეც, რომლებიც ამ პრინციპების ფარგლებში არ თავსდებიან.

კომენტარი:

ა) პუნქტი 12.1 აღიარებს მეორე მხარის წინააღმდეგ ერთსა და იმავე გარიგებასთან ან ინციდენტთან დაკავშირებით არსებული სარჩელის მოთხოვნის უფლებას.

ბ) მესამე მხარეების მიმართ გამოყენებული სხვადასხვა ქვეყნის იურისდიქციის კანონები ერთმანეთისგან განსხვავდება. ზოგიერთი სამოქალაქო სამართლის სისტემაში, მესამე მხარის დასაბუთებული პრეტენზია თავისთავად წარმოადგენს მართლმსაჯულების განხორციელების საფუძველს, ზოგიერთი საერთო სამართლის სისტემაში მესამე მხარე დამოუკიდებლად უნდა ექვემდებარებოდეს განსჯადობას. პუნქტი 12.1 მოითხოვს განსჯადობის დამოუკიდებელ საფუძველს.

გ) ამ პრინციპით დაშვებულია მესამე მხარეთა ერთსა და იმავე ქონებაზე მიმდინარე დავაში ჩარევა. მაგრამ ეს პრინციპი ჯგუფური ქმედების უფლებას არ იძლევა და არც კრძალავს.

დ) საქმეში ჩასართავად მოწვევა მესამე პირს ამის შესაძლებლობას აძლევს. ჩაურევლობის გავლენა სასამართლო კანონმდებლობის სხვადასხვა კანონით რეგულირდება. სანამ პირს ჩარევისკენ მოუწოდებდეს, სასამართლომ კონსულტაციები უნდა გაიაროს მხარეებთან.

ე) მატერიალური ან საპროცესო სამართლის თანახმად, სასამართლო კანონმდებლობა ითვალისწინებს მხარეთა ჩანაცვლებას ან დამატებას სხვადასხვა გარემოებისა და მიხედვით, მაგალითად სიკვდილის, ქონების გადაცემის, კორპორაციის შერწყმის,

გაკოტრების, სუბროგაციის შემთხვევაში და სხვ. შეიძლება ეს შეზღუდული ფორმით მონაწილეობასაც უშვებდეს, მაგალითად, მტკიცებულების წარდგენის უფლებით ისე, რომ სრული მხარე არ გახდეს.

ვ) ნებისმიერ შემთხვევაში, სასამართლოს უფლება აქვს საქმის არსისა და დაზარალებული მხარეების მიხედვით დაეყოს და გააერთიანოს სარჩელები და სადავო საკითხები.

13. Amicus Curiae-ს ინფორმაცია

სასამართლოს თანხმობით მხარეებთან კონსულტაციების შემდეგ შეიძლება წერილობითი ინფორმაციის მიღება მესამე პირებისგან სასამართლო საქმის მნიშვნელოვან სამართლებრივ საკითხებსა და გარემოებებთან დაკავშირებით. ასეთი ინფორმაცია შეიძლება სასამართლომ მოითხოვოს. მანამ, სანამ მას სასამართლო განიხილავს, მხარეებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა წერილობითი განმარტება წარადგინონ იმ საკითხებთან მიმართებაში, რასაც ეს ინფორმაცია შეიცავს.

კომენტარი:

ა) “amicus curiae”-ს ინფორმაცია კარგი საშუალებაა, რადგან პირს, რომელიც მხარეს არ წარმოადგენს, შეუძლია ისეთი ინფორმაცია და იურიდიული ანალიზი მიაწოდოს სასამართლოს, რომელიც ხელს შეუწყობს საქმის სამართლიან და დასაბუთებულ გადაჭრას. ასეთი ინფორმაცია შეიძლება მომდინარეობდეს არადაინტერესებული წყაროსგან ან მომხრესგან. ნებისმიერ პირს აქვს უფლება შეიტანოს ასეთი წერილობითი ინფორმაცია, მიუხედავად იმისა აქვს თუ არა საკმარისი სამართლებრივი ინტერესი საქმეში ჩართვისათვის. წერილობითი ინფორმაცია შეიძლება გამყარდეს ზეპირი განცხადებით, თუ სასამართლო ასე მიიჩნევს საჭიროდ.

ბ) სასამართლოს გადასაწყვეტია, შეიძლება თუ არა ასეთი ინფორმაციის გათვალისწინება. სასამართლომ შეიძლება ასეთი პირის დაინტერესების საფუძველი მოითხოვოს. სასამართლო უფლებამოსილია უკუაგდოს amicus curiae-ს ინფორმაცია, თუ ის არსებითად ხელს ვერ შეუწყობს დავის გადაჭრას. სიფრთხილეა საჭირო, რომ amicus curiae-ს მიერ ინფორმაციის მიწოდების მექანიზმმა ხელი არ შეუშალოს სასამართლოს დამოუკიდებლობას. იხილეთ პუნქტი 1.1. სასამართლომ შეიძლება მესამე მხარისგან მოითხოვოს ასეთი ინფორმაციის წარდგენა. სასამართლო საქმეში Amicus curiae მხარე კი არ არის, არამედ მხოლოდ აქტიური კომენტატორია. amicus-ის ინფორმაციაში მოტანილი ფაქტობრივი მასალები სასამართლო საქმეში მტკიცებულებას არ წარმოადგენს.

გ) სამოქალაქო სამართლის მქონე ქვეყნებში არ არის დამკვიდრებული ის პრაქტიკა, რომ მესამე მხარეს დავის არსის მიმართ სამართლებრივი ინტერესის გარეშე პროცესში მონაწილეობის უფლება ჰქონდეს, თუმცა სამოქალაქო სამართლის მქონე ზოგიერთმა ქვეყანამ მაგალითად საფრანგეთმა, პრეცედენტულ სამართალში მსგავსი ინსტიტუტები ჩამოაყალიბა. აქედან გამომდინარე, სამოქალაქო სამართლის ქვეყნების უმეტესობას არ აქვს ის პრაქტიკა, რომ amicus curiae-ის მიერ საინფორმაციო შეტყობინების უფლებას იძლეოდეს. მიუხედავად ამისა, amicus curiae-ს ინფორმაცია

სასარგებლო ინსტრუმენტი, განსაკუთრებით საზოგადოებრივი მნიშვნელობის საქმეებში.

დ) პრინციპი 13 უფლებას არ აძლევს მესამე პირებს წერილობითი ინფორმაცია წარმოადგინონ სადავო ფაქტებთან დაკავშირებით. იგი მხოლოდ ისეთი მონაცემების, ინფორმაციის, შენიშვნების, სამართლებრივი ანალიზისა და სხვა მოსაზრებების წარდგენის უფლებას იძლევა, რამაც შეიძლება ხელი შეუწყოს საქმის კანონიერად და სამართლიანად გადაწყვეტას. მაგალითად, სავაჭრო ორგანიზაციამ შეიძლება სასამართლოს კონკრეტული სავაჭრო წესების შესახებ მიაწოდოს ინფორმაცია.

ე) ვიდრე სასამართლო განხილვას დაიწყებდეს, მხარეებს საშუალება უნდა ჰქონდეთ წერილობითი კომენტარი წარადგინონ საჩივარში არსებულ საკითხთან დაკავშირებით.

14. სასამართლოს პასუხისმგებლობა სამართალწარმოების წარმართვაზე

14.1 სასამართლო დროულად იწყებს საქმის წარმოებას, აქტიურად წარმართავს მას და დამოუკიდებლად მოქმედებს რომ სამართლიანად, ეფექტურად და გონივრულ დროში გადაჭრას დავა. გასათვალისწინებელია დავის საერთაშორისო ხასიათი.

14.2 სასამართლომ საქმის განხილვა მხარეებთან კონსულტაციით უნდა აწარმოოს, იმდენად რამდენადაც ამის შესაძლებლობა იქნება.

14.3 სასამართლო განსაზღვრავს იმ წესრიგს, თუ რა თანმიმდევრობით უნდა მოხდეს საკითხის გადაწყვეტა და ადგენს განრიგს საქმის წარმოების ყველა ეტაპისათვის, თარიღების და საბოლოო ვადების ჩათვლით. შესაძლოა სასამართლომ ასეთ დირექტივებში შესწორება შეიტანოს.

კომენტარი:

ა) მრავალ სასამართლო სისტემას სამართალწარმოების წარმართვის საპროცესო ნორმები გააჩნია. იხილეთ პუნქტი 7.2. სასამართლოს მიერ საქმის განხილვა უფრო სამართლიანი და ეფექტური იქნება, თუ მხარეებთან კონსულტაციით წარიმართება. იხილეთ აგრეთვე კომენტარი 9 (ა).

ბ) კომპლექსურ სასამართლო საქმეებში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს 14.3-ე პუნქტს. პრაქტიკული თვალსაზრისით, განრიგები და მსგავსი საკითხები ნაკლებად საჭიროა მარტივი საქმეების შემთხვევაში, მაგრამ სასამართლო ყოველთვის უნდა ითვალისწინებდეს ვადების დეტალებს.

15. საქმის შეჩერება და დაუსწრებელი გადაწყვეტილება

15.1 როგორც წესი, საქმის შეჩერება უნდა მოხდეს იმ მოსარჩელის წინააღმდეგ, რომელიც დაუსაბუთებლად ვერ ახერხებს საქმის წარმოების გაგრძელებას. საქმის შეჩერებამდე სასამართლომ გონივრული გაფრთხილება უნდა მისცეს მოსარჩელეს ამის შესახებ.

15.2 როგორც წესი, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა უნდა მოხდეს იმ მოპასუხის ან სხვა მხარის მიმართ, რომელიც, უმიზეზოდ არ გამოცხადდება ან არ შეეპასუხება დადგენილ ვადაში.

15.3 სასამართლომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისას უნდა დაადგინოს:

15.3.1 რომ არსებობს განსჯადობა იმ მხარის მიმართ, რომლის წინააღმდეგაც გადაწყვეტილება უნდა გამოვიდეს;

15.3.2 დაცულია შეტყობინებების გადაცემის პირობები და რომ მხარეს ჰქონდა საკმარისი დრო შეპასუხებისთვის; და

15.3.3 სარჩელი, მათ შორის ზიანის ანაზღაურებისა და ხარჯების შესახებ არსებული ნებისმიერი სარჩელი, სათანადოდ არის გამყარებული არსებული ფაქტებითა და მტკიცებულებებით და სამართლებრივად საფუძვლიანია.

15.4 დაუსწრებელი გადაწყვეტილება ფულადი ოდენობით ან სხვაგვარი ანაზღაურების სიმძიმით არ უნდა აღემატებოდეს საჩივარში გაცხადებულ მოთხოვნას.

15.5 სარჩელის შეჩერება ან დაუსწრებელი გადაწყვეტილება ექვემდებარება აპელაციას ან ანულირებას.

15.6 მხარე, რომელიც არ დაიცავს სამართალწარმოებაში მონაწილეობის სხვა ვალდებულებებს, მე -17 პრინციპის თანახმად, სანქციებს ექვემდებარება.

კომენტარი:

ა) დაუსწრებელი გადაწყვეტილებით დასაშვებია დავის შეწყვეტა, თუ წინააღმდეგი არავინაა. ეს ის მექანიზმია, რაც მხარეს აიძულებს სასამართლოს უფლებამოსილება აღიაროს. მაგალითად, სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის უფლებამოსილება რომ არ ჰქონოდა, მოპასუხე შეძლებდა თავი აერიდებინა პასუხისმგებლობისათვის სულ უბრალოდ სამართალწარმოების უგულებელყოფით და შემდგომში გადაწყვეტილების ვალიდურობის გასაჩივრებით. მოსარჩელის მიერ სამართალწარმოების პროცესის მიტოვებას, საერთო სამართლის ტერმინოლოგიით, ზოგადად, "პროცესის ჩავარდნას" უწოდებენ, რასაც შედეგად "იძულებით შეჩერება" მოსდევს. ეს იგივეა რაც დაუსწრებელი გადაწყვეტილება. იხილეთ პუნქტი 11.4 და 17.3.

ბ) მხარე, რომელიც დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ, მაგრამ გადაწყვეტილების გამოტანამდე გამოცხადდება, დასაბუთებული მიზეზის წარმოდგენის შემთხვევაში შეიძლება დაიშვას საქმის განხილვაზე, მაგრამ მას სასამართლომ შეიძლება ხარჯების ანაზღაურება დააკისროს მოწინააღმდეგე მხარის სასარგებლოდ. გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს ის მიზეზი, რის გამოც მხარე არ შეეპასუხა, ან შეპასუხების შემდეგ პროცესი აღარ გააგრძელა. მაგალითად, მხარე შეიძლება ვერ შეეპასუხა იმის გამო, რომ ფაქტობრივად შეტყობინება ვერ მიიღო, ან არ გამოცხადდა იმის გამო, რომ ამ ქვეყნებს შორის მტრობის გამო თავისი ეროვნული კანონმდებლობა არ აძლევდა ამის უფლებას.

გ) დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანამდე სათანადო ყურადღების გამოჩენაა საჭირო, რადგან შეიძლება მოპასუხემ შეტყობინება ვერ მიიღო, ან შეიძლება ვერ გაიგო, რომ შეპასუხება იყო საჭირო. მრავალ სისტემაში სასამართლო პროცედურა მოითხოვს, რომ მას შემდეგ, რაც მოპასუხემ ვერ შეძლო შეპასუხება, დამატებითი

შეტყობინება უნდა გაეგზავნოს მას და ეცნობოს, რომ სასამართლო დაუსწრებელი განაჩენის გამოტანას აპირებს.

დ) გადაწყვეტილების მიღება იმის თაობაზე, რომ არის თუა არა სარჩელი სათანადოდ გამყარებული მტკიცებულებით და სამართლებრივად დასაბუთებული, მე-15.3.3 პუნქტის თანახმად, საქმის არსის სრულ გამოკვლევას არ მოითხოვს. მოსამართლემ მხოლოდ ის უნდა განსაზღვროს, რამდენად შეესაბამება დაუსწრებელი გადაწყვეტილება შესაბამის ფაქტებსა და მტკიცებულებებს და არის თუ არა სამართლებრივად დასაბუთებული. ამ გადაწყვეტილების მისაღებად მოსამართლემ კრიტიკულად უნდა გააანალიზოს ის მტკიცებულება, რასაც სარჩელი ეყრდნობა. მოსამართლეს შეუძლია მეტი მტკიცებულება მოითხოვოს ან ჩვენებების მოსმენა დანიშნოს.

ე) 15.4-ე პუნქტით დაუსწრებელი გადაწყვეტილება იმ რაოდენობით და იმ სახით შემოიფარგლება, რასაც სარჩელი ითხოვს. სამოქალაქო სამართლის სისტემებში დაუსწრებელი გადაწყვეტილების შეზღუდვა საჩივარში მოთხოვნილი თანხის ოდენობამდე იგივეა, რაც ზოგადი შეზღუდვა, რომელიც სადავო საქმეებშიც (*ultra petita* ანუ *extra petita*-მოთხოვნილზე მეტის აკრძალვა) გამოიყენება. საერთო სამართლის სისტემებში, სადავო საქმეებზე ამგვარი შეზღუდვა არ ვრცელდება, მაგრამ ზოგადად, დაუსწრებელი გადაწყვეტილების შეზღუდვა საყოველთაოდ აღიარებული კანონია. შეზღუდვა მოპასუხეს საშუალებას აძლევს, თავიდან აიცილოს საჩივარში მოთხოვნილ თანხაზე უფრო მეტი თანხის გადახდა.

ვ) მე-5.3 პუნქტის თანახმად, შეტყობინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების ან საქმის შეწყვეტის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა გაეგზავნოს მხარეებს. თუ დაუსწრებელი გადაწყვეტილების მოთხოვნები არ შესრულდება, სასამართლო საპროცესო კანონის თანახმად, დაზარალებულმა მხარემ შეიძლება გაასაჩივროს ან გადაწყვეტილების გაუქმება მოითხოვოს. ყველა სისტემას გააჩნია პროცედურა ისეთი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაუქმებლად, რომელიც დაუსწრებელი გადაწყვეტილების მარეგულირებელ ნორმებს არ შეესაბამება. ზოგიერთ სისტემაში, მათ შორის საერთო სამართლის სისტემათა უმრავლესობაში, ეს პროცედურა დასაწყისში პირველი ინსტანციის სასამართლოში მიმდინარეობს, ხოლო სხვა სისტემებში, მათ შორის სამოქალაქო სამართლის ზოგიერთ სისტემაში, ეს აპელაციის საშუალებით ხდება. ეს პრინციპი სასამართლო საპროცესო კანონისგან განსხვავებულია.

P-15G მხარეს, რომელიც არ გამოცხადდება, უფლება უნდა ჰქონდეს გონივრულ ვადაში წარადგინოს მტკიცებულება არასათანადო შეტყობინების შესახებ ან სხვა საპატიო დასაბუთება.

16. ინფორმაციასა და მტკიცებულებაზე წვდომა

16.1 ზოგადად, სასამართლოს და თითოეულ მხარეს უნდა ჰქონდეს რელევანტურ არაპრივილეგირებულ მტკიცებულებებზე წვდომა, მათ შორის, მხარეთა და მოწმეთა ჩვენებებზე, ექსპერტიზის დასკვნაზე, დოკუმენტებზე და ნივთების შემოწმების, ადგილზე შესვლის ან საჭირო შემთხვევაში პირის ფიზიკური ან ფსიქიკური

შემოწმების შედეგად მიღებულ მტკიცებულებებზე. მხარეებს უფლება უნდა ჰქონდეთ წარმოადგინონ ანგარიშები, რომელსაც მტკიცებულების ძალა აქვს.

16.2 მხარის დროული განცხადების საფუძველზე, სასამართლომ უნდა მოითხოვოს მეორე მხარის ან, საჭიროების შემთხვევაში და სათანადო პირობებში, არამხარის კუთვნილი ან კონტროლირებადი რელევანტური, არაპრივილეგირებული და სათანადოდ დადგენილი მტკიცებულებების გამჟღავნება. ასეთი გამჟღავნების მიმართ პროტესტის საფუძველი ვერ იქნება ის, რომ მტკიცებულება შესაძლოა იმ მხარის ან პირისთვის არახელსაყრელი იყოს, რომელიც მას გაამჟღავნებს.

16.3 ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გასაადვილებლად, მხარის ადვოკატმა შეიძლება ნებაყოფლობით ჩამოართვას ჩვენება პოტენციურ არამხარე მოწმეს.

16.4 მხარეთა, მოწმეთა და ექსპერტების ჩვენების ჩამორთმევა ჩვეულებისამებრ სასამართლოში მიმდინარეობს. მხარეს უფლება აქვს დამატებითი გამოკითხვა მოუწყოს უშუალოდ მეორე მხარეს, მოწმეს ან ექსპერტს, რომელიც თავდაპირველად მოსამართლის ან მეორე მხარის მიერ გამოიკითხა.

16.5 პირს, რომელიც მტკიცებულებებს წარადგენს, უფლება აქვს სასამართლო კონფიდენციალური ინფორმაციის უკანონო გამჟღავნებისგან იცავდეს, განურჩევლად იმისა არის თუ არა ის მხარე.

16.6 სასამართლომ დამოუკიდებლად უნდა მისცეს შეფასება მტკიცებულებას და არამართლზომიერი მნიშვნელობა არ უნდა მიანიჭოს მისი ტიპისა და წყაროს მიხედვით.

კომენტარი:

ა) "სათანადო" მტკიცებულება წარმოადგენს მამხილებელ მასალას, რომელიც ამყარებს, ეწინააღმდეგება ან ასუსტებს საქმეში არსებულ სადავო ფაქტს. მხარეს უფლება არა აქვს ეგრეთ წოდებული „კომპრომატების ძიებას“ მიჰყოს ხელი და ისეთი სარჩელი აღძრას, რომელიც არაფრით არ არის გამყარებული, მაგრამ შეიძლება მოწინააღმდეგე მხარე პირდაპირ იძულებული გახდეს ისეთი მტკიცებულება წარმოადგინოს, რომელიც მის კონტროლს ექვემდებარება. ამგვარად, ეს პრინციპები დასაშვებად მიიჩნევა „მტკიცების“ შეზღუდულ ღონისძიებას სასამართლოს მეთვალყურეობის ქვეშ. არამხარეებიც ძირითადად ვალდებულნი არიან ითანამშრომლონ.

ბ) ზოგიერთ სამართლებრივ სისტემაში მხარის განცხადება მტკიცებულებად არ არის დაშვებული ან უმნიშვნელო მტკიცებულების წონა ენიჭება. პუნქტი 16.1 მხარის ჩვენებას პოტენციურად იმავე წონას ანიჭებს, რასაც ნებისმიერი სხვა მოწმის ჩვენებას, მაგრამ სასამართლომ ამგვარი მტკიცებულებების შეფასებისას შეიძლება მხედველობაში მიიღოს მხარის ინტერესი დავის მიმართ.

დ) პუნქტი 16.2-ის თანახმად, მოსარჩელე მხარეს შეიძლება მტკიცებულებათა მოპოვების ხარჯების ანაზღაურება დაეკისროს არამხარის სასარგებლოდ.

ე) ზოგიერთ სისტემაში, ზოგადად, ადვოკატის კომუნიკაცია პოტენციურ მოწმესთან ეთიკური ან საპროცესო ნორმის დარღვევას წარმოადგენს. ამ ნორმის დარღვევა

მოწმის „შებლალვად“ განიხილება. ამასთან, ამ მიდგომამ შესაძლოა მტკიცებულებათა წვდომა, რაც სხვა სისტემებში დაშვებულია, გაართულოს და ხელი შეუშალოს წარმოსადგენ მტკიცებულებათა კარგად მომზადებას.

ვ) საჭიროების შემთხვევაში შეიძლება მიზანშეწონილი იყო პირის ფიზიკური ან გონებრივი გამოკვლევა, თუ სარწმუნო იქნება და მისი მტკიცებულებითი ღირებულება აღემატება მისი დაშვების პრეიუდიციალურ ეფექტს.

ზ) 16.4 პუნქტის თანახმად, მხარეთა, მოწმეთა და ექსპერტების ჩვენების მიცემა ჩვეულებისამებრ სასამართლოში უნდა მიმდინარეობდეს იმ მხარეებთან, ვინც პირველად გამოძიებას აწარმოებენ ან მოსამართლესთან, რომელიც ამ გამოძიებას აწარმოებს. ნებისმიერ შემთხვევაში, მხარეს უნდა ჰქონდეს უფლება დამატებითი დაკითხვა აწარმოოს და უშუალოდ მიმართოს მეორე მხარეს ან მოწმეს. მხარის უფლებას, რომ კითხვები დაუსვას უშუალოდ მოწინააღმდეგე მხარეს ან არამხარე მოწმეს, უპირატესი მნიშვნელობა ენიჭება და ამჟამად მას სამართლებრივ სისტემათა უმეტესობა აღიარებს. ანალოგიურად, მხარეს უფლება უნდა ჰქონდეს დამატებითი კითხვებით მიმართოს მოწმეს, მათ შორის იმ მხარეს, რომელიც თავდაპირველად სასამართლომ დაკითხა.

თ) პუნქტი 16.6 გულისხმობს, რომ არანაირი განსაკუთრებული სამართლებრივი მნიშვნელობა, დადებითი ან უარყოფითი, არ უნდა მიენიჭოს ნებისმიერ რელევანტურ მტკიცებულებას, მაგალითად, დაინტერესებული მოწმის ჩვენებას. ამასთან, ეს პრინციპი არ ეწინააღმდეგება ეროვნულ კანონმდებლობას, რომელიც გარიგებისას გარკვეულ ფორმალობას მოითხოვს, მაგალითად, უძრავ ქონებასთან დაკავშირებული კონტრაქტის წერილობით დოკუმენტით უზრუნველყოფას.

ი) მხარეს შეიძლება სანქციები დაეკისროს თუ იმ მტკიცებულების არ წარმოადგენს, რომელიც აშკარად ამ მხარის ხელთ არის ან ხელმისაწვდომია, ან, საპროცესო ნორმების თანახმად, მხარე არ ითანამშრომლებს საჭირო მტკიცებულების მოსაპოვებლად. იხილეთ პრინციპები 17 და 21.3.

კ) ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში გარკვეული პრობლემებია მტკიცებულებების გამოყენებასთან დაკავშირებით, რაც ამ პრინციპებში არ არის განხილული.

17. სანქციები

17.1 სასამართლომ შეიძლება სანქციები დააკისროს მხარეებს, ადვოკატებს და მესამე პირებს საქმის წარმოებასთან დაკავშირებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან მათზე უარის თქმის გამო.

17.2 სანქციები უნდა იყოს გონივრული და საქმის სერიოზულობისა და მიყენებული ზიანის თანაზომიერი მისი მასშტაბისა და მიზანმიმართულობის ხარისხის გათვალისწინებით.

17.3 მხარეთა მიმართ შეიძლება მიზანშეწონილი იყოს შემდეგი სანქციები: არახელსაყრელი გადაწყვეტილება მოწინააღმდეგე მხარის სასარგებლოდ, პრეტენზიაზე უარის თქმა მთლიანად ან ნაწილობრივ; გადაწყვეტილების გამოტანა დაუსწრებლად; საქმის წარმოების შეჩერება; დაწესებული ნორმებით ნებადართული ხარჯების გარდა დამატებითი სასამართლო ხარჯების დაკისრება. მხარეთა და

არამხარეთა მიმართ შეიძლება მიზანშეწონილი იყოს ფულადი სანქციების დაწესება, როგორცაა ჯარიმები და პირგასამტეხლო. ადვოკატების წინააღმდეგ შეიძლება მიზანშეწონილი იყოს ისეთი სანქციები, როგორცაა ხარჯების დაკისრება.

17.4 სასამართლო საპროცესო კანონი შეიძლება ასევე ითვალისწინებდეს შემდგომ სანქციებს, მათ შორის სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას მხარეთა ან არამხარეთა მიმე ან დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი დანაშაულისთვის, როგორცაა ცრუმოწმედ წარდგენა ან ძალადობის და მუქარის შემცველი საქციელი.

კომენტარი:

ა) სხვადასხვა სისტემაში სხვადასხვაგვარია ის სანქციები, რომლის დაწესების უფლებამოსილებაც საპროცესო კანონის თანახმად სასამართლოს გააჩნია. წინამდებარე პრინციპები ისეთი სანქციების დაწესების უფლებას არ იძლევა, რომელიც სასამართლო საპროცესო კანონით ნებადართული არ არის.

ბ) ყველა სამართლებრივ სისტემაში სასამართლოს უფლება აქვს მხარისათვის არახელსაყრელი და მოწინააღმდეგე მხარის სასარგებლო დასკვნა გამოიტანოს, თუ მხარე ხელს არ უწყობს საქმის წარმოების წინსვლას ან საჭირო რეაგირებას არ ახდენს. იხილეთ პუნქტი 21.3. დამატებითი სანქციის სახით, სასამართლომ შეიძლება სარჩელი უარყოს ან დაუსწრებელი გადაწყვეტილება გამოიტანოს. იხილეთ პუნქტი 5.1 და პრინციპი 15. საერთო სამართლის სისტემებში სასამართლო უფლებამოსილია მხარე ან ადვოკატი სასამართლოს უპატივცემულობაში დაადანაშაულოს სხვადასხვა გარემოებათა გამო. ყველა სისტემაშია დაშვებული მესამე პირების მიმართ უშუალო იძულებითი ღონისძიებების გატარება.

18. მოწმის პრივილეგიები და იმუნიტეტი

18.1 მტკიცებულების ან სხვა ინფორმაციის გამჟღავნებასთან დაკავშირებით უნდა ამოქმედდეს მხარის ან არამხარის პრივილეგიები, იმუნიტეტი და დაცვის ანალოგიური საშუალებები.

18.2 მოწინააღმდეგე მხარის სასარგებლო დასკვნის გამოტანის თუ სხვა ირიბი სანქციების დაკისრების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს, შეიძლება თუ არა, რომ დაცვის ასეთი საშუალებები მხარის მიერ მტკიცებულების ან სხვა ინფორმაციის არ გამჟღავნებას ამართლებდეს.

18.3 სასამართლო უნდა ითვალისწინებდეს დაცვის აღნიშნულ საშუალებებს, როდესაც თავის უფლებამოსილებას ახორციელებს და რომელიმე მხარეს ან არამხარეს უშუალო სანქციებს უწესებს და მტკიცებულების ან სხვა ინფორმაციის გამჟღავნებას აიძულებს.

კომენტარი:

ა) ყველა სამართლებრივი სისტემა აღიარებს ჩვენების იძულებით მიცემის საწინააღმდეგო სხვადასხვა პრივილეგიებსა და იმუნიტეტს, როგორცაა თვითინკრიმინაციისგან დაცვა, პროფესიული კომუნიკაციის კონფიდენციალურობა, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა და მეუღლის ან ოჯახის წევრის პრივილეგიები. პრივილეგიები მნიშვნელოვან ინტერესებს იცავს, მაგრამ შეიძლება მათ ფაქტების დადგენას შეუშალონ ხელი. ასეთი დაცვის კონცეპტუალური და ტექნიკური

საფუძვლები სხვადასხვა სისტემაში სხვადასხვაა, ისევე როგორც ის სამართლებრივი შედეგები, რაც მათ აღიარებას მოსდევს. ასეთი წესების გამოყენებისას შეიძლება სამართლებრივი ნორმების არჩევანის პრობლემა გაჩნდეს.

ბ) სხვადასხვა სამართლებრივ სისტემაში პრივილეგიას სხვადასხვა წონა აქვს და შეიძლება მას სხვადასხვა კონტექსტში სხვადასხვა დანიშნულება ჰქონდეს. ამ ფაქტორებს დიდი მნიშვნელობა აქვს, როდესაც სასამართლო მხარისათვის მოწინააღმდეგე მხარის სასარგებლო დასკვნა გამოტანას განიხილავს მხარის მიერ მტკიცებულების არ წარმოდგენის გამო.

გ) 18.2-ე და 18.3-ე პუნქტები პირდაპირ და ირიბ სანქციებს შორის განსხვავებას აღწერს. პირდაპირი სანქციები მოიცავს ჯარიმებს, პირგასამტეხლოს, ან პატიმრობას. ირიბი სანქციები მოიცავს მოწინააღმდეგე მხარის სასარგებლო გადაწყვეტილების გამოტანას, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას და სარჩელის ან შესაგებლის უარყოფას. სასამართლოს დისკრეციული უფლება აქვს, ირიბი სანქციები დაუწესოს იმ მხარეს, რომელიც პრივილეგიას მოითხოვს, მაგრამ, როგორც წესი, სასამართლომ პირდაპირი სანქციები არ უნდა დაუწესოს მხარეს ან არამხარეს, რომელიც უარს ამბობს პრივილეგიით დაცული ინფორმაციის გამჟღავნებაზე. შესაძლებელია მსგავსი დაბალანსებული მიდგომის გამოყენება, როდესაც ამკრძალავი კანონი ხელს უშლის მხარის ან მიუკერძოებელი მხარის სრულ თანამშრომლობას.

დ) ზოგიერთ სისტემაში სასამართლო თვითონ ვერ აღიარებს პრივილეგიას, მაგრამ შეუძლია მხოლოდ პრივილეგიის მქონე მხარის ინიციატივა დააკმაყოფილოს. სასამართლომ უნდა აამოქმედოს სასამართლო საპროცესო ნორმები, რომელიც მოწმის პრივილეგიას ან იმუნიტეტს პირდაპირ ითხოვს. ამგვარი ნორმების თანახმად, პრივილეგია ან იმუნიტეტი შეიძლება გაუქმებულად განიხილებოდეს, თუ მას საჭირო დროს საჭირო წესების დაცვით არ მოითხოვენ.

19. ზეპირი და წერილობითი წარდგინებები

19.1 სასარჩელო განცხადებები, ოფიციალური მოთხოვნები (შუამდგომლობები) და სამართლებრივი არგუმენტები, როგორც წესი, წერილობითი ფორმით უნდა იყოს წარმოდგენილი, მაგრამ მხარეებს უფლება უნდა ჰქონდეთ მნიშვნელოვან მატერიალურ-პროცესუალურ საკითხებზე ზეპირი არგუმენტები წარმოადგინონ.

19.2 დასკვნითი მოსმენა უნდა გაიმართოს იმ მოსამართლეთა წინაშე, რომლებმაც გადაწყვეტილება უნდა გამოიტანონ.

19.3 სასამართლომ უნდა განსაზღვროს ჩვენების წარდგენის პროცედურა. როგორც წესი, მხარეებს და მოწმეებს ზეპირი ჩვენება უნდა ჩამოერთვას, ხოლო ექსპერტთა მოხსენებები წერილობითი ფორმით უნდა იყოს; მაგრამ შეიძლება სასამართლომ მხარეებთან კონსულტაციის საფუძველზე მოითხოვოს, რომ მოწმეთა თავდაპირველი ჩვენება წერილობითი ფორმით იყოს, რომელიც მხარეებს მოსმენის დაწყებამდე უნდა გადაეცეს.

19.4 მოწმის ძირითადი წერილობითი ჩვენების ან ექსპერტის წერილობითი მოხსენების წარდგენის შემდეგ ზეპირი ჩვენება შეიძლება დამატებითი დაკითხვით შემოიფარგლებოდეს.

კომენტარი:

ა) ტრადიციულად, ყველა იურიდიული სისტემა აღიარებდა მოწმის ჩვენების ზეპირ ფორმას. თუმცა, თანამედროვე პრაქტიკაში მოწმის მთავარი ჩვენების წერილობითი განცხადებით შეცვლის ტენდენციაა. ამ მხრივ მე-19 პრინციპი ლავირების საშუალებას იძლევა. იგი ითვალისწინებს, რომ ჩვენება თავდაპირველად შეიძლება წერილობითი ფორმით იყოს წარმოდგენილი, ზეპირსიტყვიერი კი სასამართლოსა და მოწინააღმდეგე მხარეთა მიერ დამატებითი კითხვების დასმისას დაიწყება. მოწმეების დაკითხვის სხვადასხვა პროცედურასთან დაკავშირებით, იხილეთ პუნქტი 16.4 და კომენტარი 16 (ე).

ბ) სასამართლო პროცედურით შეიძლება დასაშვები ან საჭირო იყოს წერილობითი და ზეპირი პრეზენტაციების ელექტრონულად გადაცემა. იხილეთ პრინციპი 5.7.

გ) მრავალ სამოქალაქო სამართლის სისტემაში პირველადი დაკითხვა წარმოებს სასამართლოს მიერ მხარეთა შეზღუდული ჩარევით, ხოლო საერთო სამართლის სისტემათა უმეტესობაში მოსამართლესა და ადვოკატებს საპირისპირო როლები აქვთ. ნებისმიერ შემთხვევაში, მხარეებს შესაძლებლობა უნდა მიეცეთ უშუალოდ მოწმეს მიმართონ კითხვებით. იხილეთ პუნქტი 16.4

20. ღია პროცესი

20.1 როგორც წესი, ზეპირი მოსმენა, მათ შორის ის მოსმენები, სადაც მტკიცებულებებს წარმოადგენენ და სადაც გაწყვეტილება ცხადდება, ღია უნდა იყოს საზოგადოებისთვის. მხარეებთან კონსულტაციის შემდეგ, შეიძლება სასამართლომ განაცხადოს, რომ კანონის, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან კონფიდენციალურობის ინტერესებიდან გამომდინარე მოსმენები ან მოსმენების ნაწილი კონფიდენციალური უნდა დარჩეს.

20.2 სასამართლო საპროცესო კანონის თანახმად, ფაილები და ჩანაწერები საჯარო უნდა იყოს ან სხვაგვარად ხელმისაწვდომი სამართლებრივი ინტერესის მქონე პირებისათვის და მათთვის, ვისაც გამოკვლევა ევალება.

20.3 თუ სასამართლო პროცესი ღიაა, მოსამართლეს შეუძლია მოითხოვოს პროცესის ნაწილის კონფიდენციალურად ჩატარება სამართლიანობის, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან კონფიდენციალურობის ინტერესებიდან გამომდინარე.

20.4 განჩინებები, მათ შორის დამადასტურებელი არგუმენტები და, როგორც წესი, სხვა განკარგულებებიც ხელმისაწვდომი უნდა იყოს საზოგადოებისთვის.

კომენტარი:

ა) სამართალწარმოების სხვადასხვა კომპონენტების ღიაობასთან დაკავშირებით ურთიერთსაწინააღმდეგო მიდგომები არსებობს. სამოქალაქო სამართლის ზოგიერთ ქვეყანაში სასამართლო ფაილები და ჩანაწერები ზოგადად კონფიდენციალურად ინახება, თუმცა დასაბუთებული მოტივაციისას ღიაა გასამჟღავნებლად. სამოქალაქო სამართლის ტრადიციის თანახმად კი საერთოდ საჯაროა. ერთი მიდგომა ყურადღებას

ამახვილებს სასამართლო პროცესის საჯაროობის ასპექტზე და გამჭვირვალობის აუცილებლობაზე, ხოლო მეორე ყურადღებას ამახვილებს მხარეთა კონფიდენციალურობის დაცვაზე. ეს პრინციპები უპირატესობას ანიჭებს საჯარო სამართალწარმოებას, მცირე გამონაკლისების გარდა. ზოგადად, სასამართლო ფაილები და ჩანაწერები საჯარო და ხელმისაწვდომი უნდა იყოს საზოგადოებისთვის და საინფორმაციო საშუალებებისთვის. ქვეყნებმა, რომლებსაც სასამართლო საქმეების კონფიდენციალურად შენახვის ტრადიცია აქვთ, მათთვის მაინც უნდა დაუშვან მათი ხელმისაწვდომობა, ვისაც სამართლებრივი ინტერესი აქვს და კვლევა ევალება.

ბ) ზოგიერთ სისტემაში შეიძლება სასამართლომ რომელიმე მხარის მოთხოვნით კონფიდენციალურობა მიანიჭოს ყველა სასამართლო პროცესს გარდა დასკვნითი პროცესისა. ზოგიერთ სისტემაში სასამართლო პროცესის ღიაობა კონსტიტუციით არის გათვალისწინებული, მაგრამ კონკრეტული გამონაკლისებია ისეთი საკითხები, როგორცაა სავაჭრო საიდუმლოება, ეროვნული უსაფრთხოება და ა.შ. საარბიტრაჟო პროცესები ძირითადად, კონფიდენციალურად ხორციელდება.

21. მტკიცების ტვირთი და მისი სტანდარტი

21.1. ზოგადად, თითოეულ მხარეს აწევს ტვირთი, რომ დაამტკიცოს ყველა ის არსებითი ფაქტი, რაც მის საქმეს უდევს საფუძვლად.

21.2 ფაქტები დამტკიცებულად მიიჩნევა, როდესაც სასამართლო საკმაოდ დარწმუნდება მათ ჭეშმარიტებაში.

21.3 როდესაც აღმოჩნდება, რომ მხარე ფლობს ან აკონტროლებს კონკრეტულ მტკიცებულებას, რომლის წარმოდგენაზეც უსაფუძვლოდ ამბობს უარს, სასამართლომ შეიძლება მოწინააღმდეგე მხარის სასარგებლო დასკვნა გამოიტანოს იმ საკითხთან მიმართებაში, რომლის უტყუარობასაც ეს მტკიცებულება ადასტურებს.

კომენტარი:

ა) პუნქტ 21.1-ში მითითებული მოთხოვნა ხშირად შემდეგი სახით არის ფორმულირებული: „მტკიცების ტვირთი თან სდევს სასარჩელო მოთხოვნის ტვირთს“. სასარჩელო ტვირთის დაკისრება კანონით არის განსაზღვრული, რაც ცალსახად სამართლიანობის შეგრძნებას იწვევს. ხშირ შემთხვევაში ასეთი დატვირთვის განსაზღვრა მატერიალური სამართლის საგანია.

ბ) „გონივრული დასაბუთების“ (reasonably convinced) სტანდარტი არსებითად ის სტანდარტია, რომელიც სამართლებრივ სისტემათა უმეტესობაშია მიღებული. შეერთებულ შტატებსა და ზოგიერთ სხვა ქვეყნებში ასეთს "წონადი მტკიცებულების" სტანდარტი წარმოადგენს, მაგრამ ფუნქციურად არსებითად იგივეა.

გ) პუნქტი 21.3 იმ პრინციპს ეყრდნობა, რომ ორივე მხარე მოვალეა კეთილსინდისიერება გამოიჩინოს იმისათვის, რომ მოწინააღმდეგე მხარის მტკიცების ტვირთისგან გაითავისუფლოს თავი. იხილეთ პრინციპი 11. ზოგადად, მოწინააღმდეგე მხარის სასარგებლო დასკვნის გამოტანა არ უკრძალავს ურჩ მხარეს მოცემულ საკითხთან დაკავშირებით სხვა რელევანტური მტკიცებულება წარმოადგინოს. მსგავსი მოწინააღმდეგე მხარის სასარგებლო დასკვნა გამოტანა

შეიძლება სანქციად განიხილებოდეს, იხ. პუნქტი 17.3, ან მტკიცების ტვირთის შეცვლად, იხ. პუნქტი 21.1.

22. ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების დადგენის ვალდებულება

22.1 სასამართლო ვალდებულია ყველა საჭირო ფაქტი და მტკიცებულება განიხილოს და გადაწყვეტილების მისაღებად სწორი სამართლებრივი საფუძველი დაადგინოს, მათ შორის, უცხოური სამართლის საფუძველზე გადასაწყვეტ საკითხებზე.

22.2 მხარეებისთვის შეპასუხების შესაძლებლობის მიცემისას სასამართლომ შეიძლება:

22.2.1 ნება დართოს ან მოუწოდოს მხარეს შესწორება შეიტანოს თავის სამართლებრივ ან ფაქტობრივ არგუმენტებში და, შესაბამისად, დამატებითი სამართლებრივი არგუმენტები და მტკიცებულებები წარადგინოს;

22.2.2 მოითხოვოს მტკიცებულება, რომელიც მხარის მიერ აღრე არ იყო გაცხადებული; ან

22.2.3 იმ ფაქტებისა ან მტკიცებულებების სამართლებრივ-თეორიულ ინტერპრეტაციას დაეყრდნოს, რომელიც მხარის მიერ არ არის წარმოდგენილი.

22.3 როგორც წესი, სასამართლომ უშუალოდ უნდა მოისმინოს ყველა ჩვენება, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში შეუძლია შესაბამის წევრს დაავალოს ჩვენების ჩამორთმევა და შენახვა სასამართლოს საბოლოო მოსმენაზე განსახილველად.

22.4 სასამართლოს შეუძლია ექსპერტი დანიშნოს, რომელიც ყველა იმ საკითხზე მისცემს ჩვენებას, რაზედაც ექსპერტის ჩვენება მართებულია, მათ შორის, უცხოური სამართლის საკითხებზე.

22.4.1 თუ მხარეები შეთანხმდებიან ექსპერტის თაობაზე, სასამართლო, სწორედ ამ ექსპერტს დანიშნავს.

22.4.2. მხარეს უფლება აქვს მის მიერ არჩეული ექსპერტის საშუალებით ნებისმიერ ისეთ საკითხზე წარმოადგინოს ჩვენება, რაზედაც ექსპერტის ჩვენება მართებულია.

22.4.3 ექსპერტი, განურჩევლად იმისა ის სასამართლოს მიერ არის დანიშნული, თუ რომელიმე მხარის მიერ, სასამართლოს წინაშე ვალდებულია განსახილველი საკითხის სრულყოფილი და ობიექტური შეფასება წარმოადგინოს.

კომენტარი:

ა) საყოველთაოდ აღიარებულია, რომ სასამართლო ვალდებულია დაადგინოს გადაწყვეტილების გამოტანისათვის საჭირო სამართლებრივი და ფაქტობრივი გარემოებები, და ყველა მხარეს აქვს უფლება თავისი აზრი გამოთქვას მოქმედ კანონსა და შესაბამის მტკიცებულებებთან დაკავშირებით. იხილეთ პრინციპი 5.

ბ) საერთაშორისო დავაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება უცხოურ სამართალს. შესაძლოა მოსამართლე კარგად არ იცნობდეს უცხოურ სამართალს და ექსპერტის დანიშვნა დასჭირდეს ან მხარეებისგან მოითხოვოს უცხოური სამართლის საკითხების განმარტება. იხილეთ პრინციპი 22.4.

გ) საქმის წარმოების მასშტაბი, და განსახილველი კონკრეტული საკითხები მხარეთა სარჩელებისა და შესაგებლების მიხედვით განისაზღვრება. ზოგადად, მოსამართლე

ვალდებულია მხარეთა მიერ მითითებული საქმის წარმოებით შემოიფარგლოს. თუმცა, სასამართლომ, სამართლიანობის ინტერესებიდან გამომდინარე, შეიძლება რომელიმე მხარეს შესწორება სთხოვოს ან შესწორების ნება დართოს და, შესაბამისად, სხვა მხარეებს შეპასუხების უფლება მისცეს. იხილეთ პუნქტი 10.3.

დ) ექსპერტების გამოყენება ჩვეულებრივი პრაქტიკაა რთულ სასამართლო პროცესებში. სამოქალაქო სამართლის სისტემათა უმეტესობაში და საერთო სამართლის ზოგიერთ სისტემაში არსებობს სასამართლოს მიერ ნეიტრალური ექსპერტის დანიშვნის პრაქტიკა. ამასთანავე, რთული ფაქტობრივი საკითხების განხილვისას მხარეთა მიერ დანიშნულ ექსპერტებს მნიშვნელოვანი დახმარების გაწევა შეუძლიათ. ზოგადად, უადგილოა იმის შიში, რომ მხარეთა მიერ ექსპერტთა დანიშვნა „ექსპერტთა პაექრობას“ და გაუგებრობას გამოიწვევს. ნებისმიერ შემთხვევაში, ეს რისკი მტკიცებულებით გაქარწყლდება. დასაშვებია ექსპერტიზის ჩვენების მიღება უცხოური სამართლის საკითხებზე.

23. გადაწყვეტილება და მისი დასაბუთებული ახსნა-განმარტება

23.1 მხარეთა გამოსვლების დასრულებისთანავე, სასამართლომ დაუყოვნებლივ უნდა გამოიტანოს გადაწყვეტილება სიტყვიერი ან წერილობით ფორმით. გადაწყვეტილებაში მითითებული უნდა იყოს აღსრულების საშუალება, ფულადი ჯარიმის შემთხვევაში კი თანხის რაოდენობა.

23.2 გადაწყვეტილებას თან უნდა ახლდეს გადაწყვეტილების მიღების არსებითი ფაქტობრივი, სამართლებრივი და მამტკიცებელი საფუძვლის დასაბუთებული ახსნა-განმარტება.

კომენტარი:

ა) წერილობითი გადაწყვეტილება არა მხოლოდ განკარგულებას აცნობს მხარეებს, არამედ გადაწყვეტილების ჩაწერასაც უზრუნველყოფს, რომელიც შეიძლება საჭირო აღმოჩნდეს შემდგომი აღიარების პროცესში. ზოგიერთ სისტემაში საკონსტიტუციო დებულება დასაბუთებულ მოსაზრებას მოითხოვს ანუ მართლმსაჯულების აღსრულების ფუნდამენტურ გარანტიად განიხილება. დასაბუთებული ახსნა-განმარტება შეიძლება სხვა დოკუმენტებზე დაყრდნობით გაიცეს, როგორცაა სასარჩელო განცხადება დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შემთხვევაში, ან ნაფიც მსაჯულთა ინსტრუქციების ასლები ნაფიც მსაჯულთა მიერ გადაწყვეტილების გამოტანის შემთხვევაში. სასამართლო საპროცესო კანონში შეიძლება მითითებული იყოს კონკრეტული ვადა, რომლის ფარგლებშიც სასამართლომ გადაწყვეტილება უნდა გამოიტანოს.

ბ) როდესაც გადაწყვეტილებით ამ საკითხთან დაკავშირებული ყველა სარჩელი და შესაგებელი არ წყდება, მასში უნდა მიეთითოს ის საკითხები, რომლებიც ღია რჩება საქმის შემდგომი წარმოებისთვის. მაგალითად, თუ საქმე მრავლობით სარჩელს მოიცავს, სასამართლომ შეიძლება ერთ-ერთი სარჩელზე (მაგალითად, ზიანის ანაზღაურება) გამოიტანოს გადაწყვეტილება და სხვა სარჩელებზე (მაგალითად, ამკრძალავ სარჩელზე) გადასაწყვეტად სამართალწარმოება განაგრძოს.

გ) ზოგიერთ სისტემაში შეიძლება გამოტანილი განაჩენი ფულადი სასჯელის ან სამართალდარღვევების სხვა პირობების შემდგომ დაზუსტებას მოითხოვდეს, მაგალითად, ანგარიშის შედგენას ზიანის ანაზღაურების დასადგენად ან ამკრძალავი პირობების დაწვრილებითი აღწერილობას.

დ) იხილეთ პუნქტი 5.6, რომელიც მოითხოვს, რომ სასამართლომ უნდა განიხილოს ფაქტის, მტკიცებულებისა და კანონის თითოეული მნიშვნელოვანი არგუმენტი.

24. მორიგება

24.1 სასამართლო პატივს სცემს მხარეთა სასამართლო დავის უფლებას, მაგრამ ობიექტური შესაძლებლობის შემთხვევაში ხელი უნდა შეუწყოს მხარეთა მორიგებას.

24.2 სასამართლომ ხელი უნდა შეუწყოს მხარეთა მონაწილეობას დავის ალტერნატიული გზით გადაწყვეტის პროცესებში საქმის წარმოების ნებისმიერ ეტაპზე.

24.3 მხარეებმა, როგორც სასამართლო პროცესის დაწყებამდე, ისე მის შემდეგ, უნდა ითანამშრომლონ გონივრული შეთანხმების მისაღწევად. სასამართლომ შეიძლება ხარჯების ანაზღაურება ისე დაარეგულიროს, რომ მასში აისახოს გაუმართლებელი უარი თანამშრომლობაზე ან არაკეთილსინდისიერი მონაწილეობა შეთანხმების მიღწევაში.

კომენტარი:

ა) „სასამართლო პატივს სცემს მხარეთა სასამართლო დავის უფლებას“ ნიშნავს, რომ სასამართლომ ძალადატანებით ანუ იძულების გზით არ უნდა მიაღწიოს მხარეებს შორის შეთანხმებას. თუმცა, სასამართლოს შეუძლია ნებისმიერ დროს აწარმოოს მხარეებთან არაფორმალური მოლაპარაკება შეთანხმების შესახებ. მოსამართლემ, რომელიც მოლაპარაკებებში მონაწილეობს, თავი უნდა აარიდოს მიკერძოებას. მაგრამ, მისი აქტიური მონაწილეობა, მათ შორის შეთანხმების შეთავაზება, მოსამართლის მიუკერძოებლობას ზიანს ვერ მიაყენებს ანუ მიკერძოებას არ წარმოშობს.

ბ) პუნქტი 24.3 შორს არის ზოგიერთი ქვეყნის ტრადიციისგან, სადაც მხარეები ვალდებული არ არიან მოლაპარაკების ან სხვა გზით განიხილონ მოწინააღმდეგე მხარის მიერ შეთავაზებული მორიგება. შეიძლება სასამართლო საპროცესო კანონი მართებულად უზრუნველყოფდეს მშვიდობიან მორიგებას სათანადო პროცედურული აქტით, რომელიც მოწინააღმდეგე მხარის მიერ შეთავაზებულ მორიგებაზე უარის თქმის შემთხვევაში კონკრეტულ ფულად სანქციებს ითვალისწინებს. ასეთი პროცედურების ცნობილი მაგალითებია ონტარიოს (კანადა) სამოქალაქო საპროცესო აქტი და ახალი ინგლისური საპროცესო ნორმები, ნაწილი 36. ეს ოფიციალური პროცედურებია, რის საშუალებითაც, შეიძლება მხარემ კონკრეტულ შეთანხმებაზე წინადადება წამოაყენოს და ამით მოწინააღმდეგე მხარე აიძულოს ან დათანხმდეს ან უარი თქვას მასზე და დამატებითი სასამართლო ხარჯებით გადახდეს, თუ ეს მხარე საბოლოო ჯამში შეთავაზებულ გარიგებაზე უფრო ხელსაყრელ შედეგს ვერ მიაღწევს. იხილეთ აგრეთვე პუნქტი 25.2.

25. ხარჯები

25.1 როგორც წესი, მოგებულ მხარეს უნდა აუნაზღაურდეს კანონიერი ხარჯების სრული ოდენობა ან მისი მნიშვნელოვანი ნაწილი. "ხარჯებში" შედის სასამართლოში განცხადების შეტანის საფასური, სასამართლოს მოხელეების, მაგალითად სასამართლოს სტენოგრაფისტების გასამრჯელო, ექსპერტ-მოწმეთა ანაზღაურება, ადვოკატთა ანაზღაურება.

25.2 გამონაკლის შემთხვევაში, სასამართლომ შეიძლება მოგებულ მხარეს დაუქვითოს ან შეუზღუდოს ხარჯების ანაზღაურება, თუ ამის აშკარა საფუძველი არსებობს. სასამართლოს შეუძლია იმ ანაზღაურებით შემოიფარგლოს, რაც დავის არსებით საკითხებზე გაწეულ ხარჯებს ასახავს, და სხვა ხარჯების ანაზღაურება დააკისროს მოგებულ მხარეს, რომელმაც უსაფუძლო საკითხები წამოჭრა ან მეორე მხრივ დაუსაბუთებლად დავობდა. ხარჯებთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლომ შეიძლება ანგარიში გაუწიოს ნებისმიერი მხარის მიერ საქმის წარმოების პროცესში დაშვებულ პროცედურულ გადაცდომას.

კომენტარი:

ა) იურიდიულ სისტემათა უმეტესობაში გაბატონებული წესია ადვოკატთა გაწეული სამსახურის ანაზღაურება, თუმცა, მაგალითად, ჩინეთში, იაპონიასა და შეერთებულ შტატებში არა. ზოგიერთ სისტემაში, მოგებულ მხარის ხარჯების ანაზღაურების ოდენობას გამოცდილი მოხელე განსაზღვრავს და ხშირად ის უფრო ნაკლებია, ვიდრე მოგებულმა მხარემ უნდა გადაუხადოს თავის ადვოკატს. ზოგიერთ სისტემაში, მოგებულ მხარის ანაზღაურების რაოდენობა განისაზღვრება მოსაკრებლის შესახებ დადგენილი წესით. სამართალწარმოების გარკვეულ სფეროებში მოსაკრებლის გადაკისრების წესი სადავო საკითხია, მაგრამ, ზოგადად, მიზანშეწონილად მიიჩნევა კომერციულ სამართალწარმოებაში და, როგორც წესი, კომერციულ ხელშეკრულებებში მითითებულია.

P-25B პუნქტი 25.2-ის თანახმად, გამონაკლისის შემთხვევაში სასამართლომ შეიძლება საერთოდ უარი თქვას მოგებულ მხარისათვის ხარჯების ანაზღაურებაზე, ან აუნაზღაუროს ხარჯების მხოლოდ ნაწილი, ან შეიძლება უფრო ხელგაშლილად ან უფრო მკაცრად დაიანგარიშოს, ვიდრე სხვა შემთხვევაში. რადგან პუნქტი 25.2 ასეთი გამონაკლისით ხასიათდება, მოსამართლეს მოეთხოვება გადაწყვეტილების დასაბუთება. აგრეთვე იხილეთ პუნქტი 24.3.

26. გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულება

26.1 პირველი ინსტანციის სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილება, როგორც წესი, დაუყოვნებლივ უნდა აღსრულდეს.

26.2 სამართლიანობის ინტერესებიდან გამომდინარე, პირველი ინსტანციის სასამართლომ ან სააპელაციო სასამართლომ შეიძლება საკუთარი ინიციატივით ან მხარის შუამდგომლობით შეაჩეროს გასაჩივრებული გადაწყვეტილების აღსრულება.

26.3 შესაძლებელია აპელანტის მხრიდან საჭირო გახდეს უზრუნველყოფა, როგორც აუცილებელი პირობა საქმის შესაჩერებლად ან მოპასუხის მხრიდან, როგორც საქმის შეჩერების დაუშვებლობის პირობა.

კომენტარი:

ა) ქმედითი გადაწყვეტილებისთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს საბოლოოობის პრინციპს. ზოგიერთ იურისდიქციაში, დაუყოვნებლივი აღსრულება მხოლოდ მეორე ინსტანციის სასამართლოების გადაწყვეტილებებისთვისაა დაშვებული. თუმცა, საერთო სამართლისა და ზოგიერთი სამოქალაქო სამართლის ქვეყნების პრაქტიკული ტენდენციაა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას ასეთი ძალა კანონით ან სასამართლოს განკარგულებით ენიჭება.

ბ) ის ფაქტი, რომ გადაწყვეტილება ძალაში შესვლისთანავე დაუყოვნებლად უნდა აღსრულდეს, სასამართლოს არ უკრძალავს, რომ წაგებულ მხარეს დრო მისცეს დაკისრებული ვალდებულების შესასრულებლად. გადაწყვეტილება უნდა აღსრულდეს დადგენილი ვადების შესაბამისად.

გ) სასამართლო საპროცესო კანონის თანახმად, ნაწილობრივი გადაწყვეტილებაც (სადავო საკითხის მხოლოდ ნაწილის თაობაზე) შეიძლება საბოლოო იყოს და, შესაბამისად, დაუყოვნებლივ აღსრულებადი.

27. აპელაცია

7.1 სასამართლო საპროცესო კანონით სააპელაციო განხილვა არსებითად იმავე პირობებს უნდა ითვალისწინებდეს, რასაც სხვა ინსტანციები. სააპელაციო განხილვა დროულად უნდა დასრულდეს.

27.2 სააპელაციო განხილვა, როგორც წესი, პირველ ინსტანციაში წარდგენილი სარჩელებითა და შესაგებლებით უნდა შემოიფარგლებოდეს.

27.3 მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარე შეიძლება სააპელაციო სასამართლომ ახალი ფაქტები და მტკიცებულებები განიხილოს.

კომენტარი:

ა) სხვადასხვა სამართლებრივ სისტემას არსებითად სხვადასხვაგვარი სააპელაციო პროცედურა აქვს. აქედან გამომდინარე, სასამართლოს პროცედურა გამოიყენება.

ბ) ისტორიულად, საერთო სამართლის სისტემებში სააპელაციო განხილვა "დახურული ჩაწერის" პრინციპს ემყარებოდა, ანუ ყველა სარჩელი, შესაგებელი, მტკიცებულება და სამართლებრივი დავები პირველი ინსტანციის სასამართლოში უნდა წარედგინათ, თუმცა, თანამედროვე საერთო სამართლის სისტემათა უმეტესობაში, სააპელაციო სასამართლოს ახალი სამართლებრივი არგუმენტებისა და აუცილებელ შემთხვევაში ახალ მტკიცებულებათა განხილვის დისკრეციული უფლება აქვს. ისტორიულად, სამოქალაქო სამართლის სისტემებში მეორე ინსტანციის სასამართლო უფლებამოსილი იყო სრულად გადაესინჯა დავის კონკრეტული გარემოებანი, მაგრამ მრავალ თანამედროვე სისტემაში ეს მიდგომა შეცვლილია. რამდენიმე სამოქალაქო სამართლის სისტემაში, მეორე ინსტანციის სასამართლოში შეიძლება სრულიად ახალი სასამართლო პროცესი გაიმართოს და წესისამებრ წარიმართოს. ზოგიერთ სისტემაში პირველი ინსტანციის სასამართლოს

გადაწყვეტილება შეიძლება გაუქმდეს ან შეიცვალოს მხოლოდ მართლმსაჯულების არსებითი გადაცდომის შემთხვევაში. ეს პრინციპი ორივე უკიდურესობას უარყოფს. თუმცა, ახალი მტკიცებულებების მიღება სააპელაციო დონეზე დასაშვები უნდა იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამას მართლმსაჯულების ინტერესები მოითხოვს. თუ რომელიმე მხარეს მიეცემა ასეთი შესაძლებლობა, სხვა მხარეებს უნდა ჰქონდეთ რეაგირების კორელატიული უფლება. იხილეთ პუნქტი 22.2.

გ) ზოგიერთ სისტემაში, მხარეები ვალდებული არიან პირველ ინსტანციის სასამართლოში წამოყენებული პრეტენზიები შეინარჩუნონ და არ შეუძლიათ აპელაციაზე თავიდან წამოაყენონ.

28. Lis Pendens და Res Judicata

28.1. Lis pendens-ის წესების გამოყენებისას, საქმის წარმოების ფარგლები განისაზღვრება მხარეთა სასარჩელო განცხადებებში წამოყენებული მოთხოვნებით და მათში შეტანილი ცვლილებებით.

28.2 სარჩელის პრეიუდიციის წესების გამოყენებისას, გადაწყვეტილი სარჩელის ან სარჩელების ფარგლები განისაზღვრება მხარეთა სარჩელებისა და შესაგებლების, ასევე მათში შეტანილი ცვლილებების, სასამართლოს გადაწყვეტილებისა და დასაბუთებული ახსნა-განმარტების გათვალისწინებით.

28.3 სადავო ფაქტთან ან ფაქტებთან კანონის შეფარდების საკითხთან მიმართებაში პრეიუდიციის კონცეფცია მხოლოდ არსებითი უსამართლობის პრევენციის მიზნით გამოიყენება.

კომენტარი:

ა) ამ პრინციპის მიზანია როგორც პარალელური (lis pendens), ისე (res Judicata) შემდგომი განმეორებითი სამართალწარმოების თავიდან აცილება.

ბ) ზოგიერთ სისტემაში lis pendens-ის მკაცრი წესებია, ზოგი კი უფრო მოქნილად იყენებს მათ, კერძოდ, ორივე სასამართლოს საქმის წარმოების ხარისხს ითვალისწინებს. Lis pendens-ის პრინციპი შეესაბამება 10.3-ე პუნქტს, რომელიც საქმის წარმოების ფარგლებს ეხება, და 2.6-ე პუნქტს, რომელიც პარალელური საქმის წარმოებას ეხება.

გ) ზოგიერთ სამართლებრივ სისტემაში, განსაკუთრებით საერთო სამართლის სისტემაში, -პრეიუდიციის კონცეფციას იყენებენ, რომელსაც ზოგჯერ კოლატერალურ პრეიუდიციას (Collateral estoppel) ანუ დავის თავიდან აცილებას (issue estoppel) უწოდებენ, რომლის არსიც იმაში მდგომარეობს, რომ ზოგადად, მოცემული საკითხის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება, როგორც გადაწყვეტილების აუცილებელი ელემენტი, აღარ უნდა გადაისინჯოს შემდგომ დავაში, სადაც იგივე საკითხია წამოჭრილი. 28.3-ე პუნქტის თანახმად, პრეიუდიციის გამოყენება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ მაგალითად, წინა სასამართლო პროცესზე მხარის ქმედება კანონიერად ეყრდნობოდა სადავო სამართლებრივი საკითხის ან ფაქტის დადგენას. საერთო სამართლის მრავალ სისტემაში პრეიუდიციის უფრო ფართო სპექტრია ცნობილი, მაგრამ 28.3 პუნქტში ეს კონცეფცია შედარებით შეზღუდულია იმ პრინციპიდან გამომდინარე, რასაც სამოქალაქო სამართლის სისტემებში

კეთილსინდისიერების პრინციპს უწოდებენ, ხოლო საერთო სამართლის სისტემებში ცნობილია როგორც *estoppel in pais*.

29. ეფექტური აღსრულება

უნდა არსებობდეს გადაწყვეტილების დროულად და ეფექტურად აღსრულების, მათ შორის, ფულადი ანაზღაურების, ხარჯების დაფარვის, შეკავების და უზრუნველყოფის პროცედურები.

კომენტარი:

ა) მრავალ სამართლებრივ სისტემაში გადაწყვეტილების აღსრულების მოძველებული და არაეფექტური პროცედურები არსებობს. მოსარჩელების გადმოსახედიდან, განსაკუთრებით მოგებული მხარის პოზიციიდან, ეფექტური აღსრულება მართლმსაჯულების აუცილებელი ელემენტია. თუმცა, სააღსრულებო პროცედურების თემა ამ პრინციპების ფარგლებს სცილდება.

30. აღიარება

რომელიმე სასამართლოს მიერ ამ პრინციპებთან არსებითად თავსებადი პროცედურით გამოტანილი საბოლოო გადაწყვეტილება აღიარებული უნდა იყოს და აღსრულდეს, თუ არსებული სახელმწიფო სამართლებრივი პოლიტიკა სხვაგვარად არ მოითხოვს. იგივე ეხება წინასწარი უზრუნველყოფის ღონისძიებების აღიარებას.

კომენტარი:

ა) რომელიმე სასამართლოს მიერ გამოტანილი საბოლოო გადაწყვეტილების აღიარება, მათ შორის წინასწარი უზრუნველყოფის ღონისძიებების აღიარება, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საერთაშორისო სამართალწარმოებაში. ყველა სამართლებრივ სისტემას აქვს საკუთარი სისტემის ფარგლებში გამოტანილი გადაწყვეტილების აღიარების მკაცრი ნორმები. უცხოური გადაწყვეტილების აღიარებასთან დაკავშირებით, საერთაშორისო კონვენციები სხვა პირობებს ითვალისწინებს. ზოგიერთი იურისდიქცია ზღუდავს წინასწარი უზრუნველყოფის ღონისძიებებათა უმეტესობას მხოლოდ იმ სახელმწიფოს ტერიტორიაზე მოქმედებით, სადაც ეს გადაწყვეტილება გამოიტანეს და პარალელური შემაკავებელი ორდერების გამოცემით ახორციელებს თანამშრომლობას. თუმცა, წინასწარი უზრუნველყოფის პარალელური ღონისძიებების ტექნოლოგია უფრო ნაკლებ მისაღებია ვიდრე პირდაპირი აღიარება და აღსრულება. იხილეთ აგრეთვე პრინციპი 31.

ბ) 30-ე პრინციპის თანახმად, ამ პრინციპებთან არსებითად თავსებადი პროცედურით გამოტანილ გადაწყვეტილებას, როგორც წესი, ისეთივე ძალა უნდა ჰქონდეს, როგორც მისი მაღიარებელი სახელმწიფოს კანონმდებლობით გამოტანილ გადაწყვეტილებებს. აქედან გამომდინარე 30-ე პრინციპი თანასწორი მოპყრობის პრინციპია. ეს პრინციპები საერთაშორისო იურისდიქციის საერთაშორისო სტანდარტებს, მოპასუხის სათანადო ინფორმირებას, საქმის სამართლიან წარმოებას და ერთხელ გადაწყვეტილი საქმის განმეორებითი განხილვის დაუშვებლობას (*res judicata*) ამკვიდრებს. შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ უცხოური სამართალწარმოება აკმაყოფილებს ამ პრინციპების

მოთხოვნებს, აღარ წარმოიშობა არაღიარების ტრადიციული მიზეზები, როგორცაა იურისდიქციის არარსებობა, არასათანადო ინფორმირებულობა, თაღლითობა, უცხოური არაკეთილსინდისიერი სამართალწარმოება ან კონფლიქტი სხვა საბოლოო გადაწყვეტილებასთან მიმართებაში. მრავალ ქვეყანაში ნაცვალგება აღარ არის აღიარების წინაპირობა, მაგრამ ის მაინც განხორციელდება, თუ სასამართლო საპროცესო კანონი ამ პრინციპებს აღიარებს, განსაკუთრებით კი 30-ე პრინციპს. როდესაც უცხოური სამართალწარმოება ამ პრინციპებთან მნიშვნელოვან შესაბამისობაში ხორციელდება, სახელმწიფოს ძირითად პოლიტიკაზე დაფუძნებული არაღიარების მხოლოდ მცირე გამონაკლისია დასაშვები.

31. საერთაშორისო სასამართლო თანამშრომლობა

იმ სახელმწიფოს სასამართლოებმა, რომლებმაც ეს პრინციპები შემოიღეს, დახმარება უნდა გაუწიონ სხვა სახელმწიფოს სასამართლოებს, რომლებიც ამ პრინციპებთან შესაბამისობაში მოქმედებენ, მათ შორის, დახმარება უნდა გაუწიონ დაცვისა და უზრუნველყოფის ღონისძიებების გატარებაში, მტკიცებულებათა იდენტიფიცირებაში, დაცვასა და წარდგენაში.

კომენტარი:

ა) საერთაშორისო სასამართლო თანამშრომლობა და დახმარება ხელს უწყობს საერთაშორისო აღიარებას და თანამედროვე თვალსაზრისით თანაბრად მნიშვნელოვანია.

ბ) საჭიროების შემთხვევაში, მოსამართლეებმა კომუნიკაცია უნდა დაამყარონ სხვა იურისდიქციების მოსამართლეებთან მხარეთა ან მათ წარმომადგენლეთა გარე კომუნიკაციასთან (ცალმხრივი კომუნიკაციები) დაკავშირებული ნორმების დაცვით. იხილეთ პრინციპი 1.4.

გ) ტერმინი „მტკიცებულების“ მნიშვნელობისთვის იხილეთ პრინციპი 16.

